ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასწავლებელთა განათლება

ანანო ყალიჩავა

სიმღერებისა და რიტმული ტექსტების (Chants) გამოყენების ეფექტიანობის საკითხი ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლებისას (სკოლის საბაზო საფეხურზე)

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **იზაბელა პეტრიაშვილი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

გულნარა ჩხიკვაძე, ინგლისური ენის ექსპერტი
თსუ-ს მოწვეული ლექტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ენის, მნიშვნელობის ზრდა უამრავ ახალ გამოწვევას აყენებს პედაგოგიკის წინაშე. იცვლება სწავლების მიდგომები, მეთოდები, გზები. განათლების სისტემები კი ზოგჯერ წარმატებით ითვისებენ მათ, ზოგჯერ კი, პირიქით - სრულიად უგულებელჰყოფენ.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში პრიორიტეტი ენის შემსწავლელთა მოთხოვნები, საჭიროებები და ინტერესებია. მსოფლიოს მასშტაბით, ინგლისური ენის მასწავლებლები ცდილობენ, სასწავლო პროცესი გახადონ მეტად თავისუფალი, ინტერაქციული, სახალისო და საინტერესო, განსაკუთრებით კი იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც მოზარდობის რთულ ასაკში არიან. სწორედ ამიტომ, ვთვლით, რომ ამ მიმართულებით ჩვენი კვლევა მეტად **აქტუალურია**.

როგორ ისწავლება ინგლისური ენის გრამატიკა დღეს საქართველოში და რამდენადაა სკოლის საბაზო საფეხურზე ამ მიზნით გამოყენებული ისეთი ეფექტიანი და სახალისო მასალები, როგორებიცაა ინგლისურენოვანი სიმღერები და რიტმული ტექსტები (Chants), არის ჩვენი კვლევის მთავარი ობიექტი. საქართველოს მასშტაბით, მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა, ამიტომაც, მივიჩნევთ, ჩვენი შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან **სიახლეს**.

გამოვიყენებთ როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს: ემპირიულ კვლევას, მასწავლებელთა მასობრივ გამოკითხვასა და მოსწავლეთა გამოკითხვას. რაც შეეხება ჩვენი კვლევის **მიზანს**, თეორიული მასალის საფუძველზე, გამოკითხვების შედეგების ანალიზსა და ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, ვეცდებით, დავადგინოთ, თუ რამდენად ეფექტურია ამ მნიშვნელოვანი მასალების გამოყენება თანამედროვე ქართულ სკოლებში, სადაც დღეს ქართველი მოსწავლეები უცხო ენას აქტიურად შეისწავლიან.

საზოგადოებაში გაჩენილი მოთხოვნებიდან და განათლების სისტემის წინაშე დამდგარი გამოწვევებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევთ სწავლების

პროცესის გამრავალფეროვნებას, რაც ერთდროულად უნდა ითვალისწინებდეს როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის ინტერესებს. ამ ყოველივემ ხელი უნდა შეუწყოს სწავლა-სწავლების ორმხრივ პროცესს. შევეცდებით, დავამტკიცოთ მართებულობა ჩვენი **ჰიპოთეზისა**, რომ სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით სწავლება წარმატებისაკენ, ჭეშმარიტი ცოდნისაკენ მიმავალი ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

Annotation

Anano Kalichava

The effectiveness of using English songs and chants while teaching English grammar at basic school

An increase of importance of English as an international language poses challenges in the science of pedagogy. Gradual changes of approaches, methods, ways and means of teaching take place in the language learning process. Different educational systems successfully adapt them in some ways but some of these are rejected as well.

The priority of our educational system should and must be the language (and not only) learner's lacks, needs and interests. English teachers tend to make the teaching/learning process much more harmonious, communicative, joyful and amusing, especially for adolescents. Accordingly, we reckon that our research is **topical**.

We've taken into consideration how English grammar is taught at Georgian schools. The matter of how effectively English songs and Jazz chants are used in this way (if they are used at all) at basic school is the main **object** of our research. Throughout Georgia we have no data for the same kind of research, so we deem our results will be **innovative**.

We will use methods of both qualitative and quantitative researches. On the basis of the results of theoretical and empirical researches and surveys, our **aim** is to evaluate how useful and helpful these attractive and valuable materials are in the process of teaching and learning at contemporary Georgian schools where Georgian students are expected to be actively engaged in the language learning process.

Modern educational system stands face to face with the needs and challenges. Accordingly, we deem, it's vital to make teaching process varied that includes providing interests of both, students and teachers at the same time. This will ensure to develop two-way communication between them. In our research effort we try to prove the **hypothesis** that teaching grammatical units through English songs and chants leads our students to the genuine knowledge that is not limited in time or space.

შინაარსი

შესავალი.....6

თავი 1. გრამატიკა და მისი შინაარსი უცხო ენის გაკვეთილზე.....11

1.1. გრამატიკის მნიშვნელოვანი ასპექტები 11

1.2. უცხო ენის სწავლების მეთოდები და მათი განვითარების ეტაპები 12

1.3. გრამატიკის სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.....14

1.4. PPP მოდელი და მისი სამი ძირითადი ფაზა.....15

თავი 2. გრამატიკის სწავლების სირთულეები და გამოწვევები საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან 18

2.1. გრამატიკა, როგორც შიშის ფაქტორი 18

2.2. მასწავლებლის წამყვანი როლი მოსწავლის ემოციური მდგომარეობის მართვისას 20

2.3. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა სწავლების პროცესის მიმართ.....21

თავი 3. გრამატიკული საკითხების სწავლება, როგორც სახალისო და შემეცნებითი სასწავლო პროცესი.....23

3.1. მუსიკის (სიმღერებისა და რიტმული ტექსტების - Chants) გამოყენების პერსპექტივა გრამატიკის სწავლებისას.....23

3.2. 6 მიზეზი, თუ რატომ უნდა გამოვიყენოთ მუსიკა ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლებისას სკოლის საბაზო საფეხურზე.....24

3.3. სიმღერებისა და რიტმული ტექსტების შერჩევის აუცილებელი პროცედურები26

3.4. მუსიკით სწავლების შესაძლო გზები ინგლისური ენის გაკვეთილზე 28

3.5. საერთაშორისო გამოცდილება მუსიკით სწავლების მაგალითზე.....30

თავი 4. მუსიკით სწავლების პრობლემატიკა ქართულ სკოლებში - კვლევითი ნაწილი 32

4.1. ინგლისური ენის მასწავლებელთა გამოკითხვა 32

4.2. ემპირიული კვლევა 41

4.3. ემპირიული კვლევის მონაწილე მოსწავლეთა გამოკითხვა 49

დასკვნები 52

რეკომენდაციები.....56

ლიტერატურა 57

შესავალი

ინგლისური ენა, როგორც საერთაშორისო ენა, მნიშვნელოვანი ფენომენია. მას უკვე განვიხილავთ, როგორც მსოფლიო ,,ლინგვა ფრანკას''. ინგლისური ენის მიმართ გაზრდილია ინტერესი, როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, მასშტაბით. ამ ენის დაუფლება დღესდღეისობით უმნიშვნელოვანეს გამოწვევად აღიქმება, ვინაიდან მისი ცოდნა ერთ-ერთი ურყევი გარანტიაა ნებისმიერ სფეროში ახალი, პროგრესული ცოდნის მიღებისა. ეს კი, თავის მხრივ, ერთი წინგადადგმული ნაბიჯია წარმატებული მომავლისაკენ.

საქართველო ევროსაბჭოში შემავალი ქვეყანაა, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ენობრივად თუ კულტურულად მრავალფეროვანი სივრცის წევრია. უცხოური ენების ცოდნის გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ სივრცეში სრულყოფილად თავის დამკვიდრება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომ ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს. მათ შორის კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გრამატიკის ცოდნას.

ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა, ძირითადად, კომუნიკაციური მიზნების განხორციელებას ემსახურება. შესაბამისად, ცალკეული სასწავლო თემის საკომუნიკაციო მიზნები განაპირობებს და წარმართავს ლექსიკისა და გრამატიკის ძირითად, მნიშვნელოვან საკითხებს. გრამატიკული საკითხები მოწყვეტილად არ უნდა ისწავლებოდეს, მათი სწავლება პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული კომუნიკაციურ მიზნებთან. მოსწავლეს ის ლექსიკურ-გრამატიკული უნარები უნდა გამოვუმუშავოთ, რომლებსაც იგი კონკრეტულ სიტუაციებში ეფექტიანად და სწორად გამოიყენებს.

ნაშრომში გაშლილია შემდეგი საკითხები: ქართულენოვანი მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის გრამატიკის შესწავლის პროცესისა და გამოყენებული მეთოდების თავისებურებანი სკოლის საბაზო საფეხურზე; მათი გამრავალფეროვნების გზების მოძიება, რათა შემსწავლელს გაუადვილდეს შესასწავლი საკითხების დამახსოვრება და სწავლების პროცესი გახდეს მეტად ეფექტიანი, სასიამოვნო და საინტერესო.

ნაშრომის კვლევის პრობლემა და აქტუალობა. უცხო ენის შემსწავლელთათვის გრამატიკის საკითხების დაძლევა ხშირად საკმაოდ დიდ გამოწვევად აღიქმება.

ინგლისური ენის შემსწავლელებისათვის, ვგულისხმობთ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, ინგლისური ენის გრამატიკის დაუფლებას ართულებს ის გარემოება, რომ გრამატიკის საკითხების სწავლებისას მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი არ იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეთოდებს და, შესაბამისად, უცხო ენის გაკვეთილი ხშირად მოსაბეზრებელი და მოსაწყენია. აქედან გამომდინარე, დღევანდელი სკოლა საჭიროებს მეტად მრავალფეროვან სასწავლო რესურსს, რომელიც სწავლა/სწავლების პროცესს საინტერესოს გახდის.

კვლევის მოტივაცია. პირადმა გამოცდილებამ, როგორც საბაზო საფეხურის მოსწავლისა, დიდი კვალი დატოვა და შექმნა საფუძველი შემდგომი კვლევისათვის. გამომდინარე აქტიური მუსიკალური წარსულისა, მუსიკამ, როგორც მელოდიისა და ტექსტის სინთეზმა, დიდი და ფასდაუდებელი როლი შეასრულა არა მხოლოდ ჩვენი ესთეტიკურად ჩამოყალიბების, არამედ ინგლისური ენის შესწავლის პროცესშიც, რასაც სრულიად გაუცნობიერებელი სახე ჰქონდა. გავერკვიეთ და დავიმახსოვრეთ ისეთი სინტაქსური კონსტრუქციები, რომელთა შესწავლა მხოლოდ წესების დახმარებით გაცილებით მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

მეორე უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელმაც ჩვენი კვლევის ამ მიმართულებით განვითარება განაპირობა, იყო მასწავლებლის პრაქტიკა, რომელსაც სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებთან 1 წლის განმავლობაში გავდიოდით. ამ დროის მანძილზე, ერთგვარ დამხმარე მასალად გრამატიკის საკითხების ასახსნელად რამდენჯერმე გამოვიყენეთ სიმღერების ტექსტები. თითოეული ასეთი გაკვეთილი იყო აქტიური, მხიარული, თავისუფალი და საინტერესო.

ნაშრომის კვლევის სიახლე. ქართულ რეალობაში არ არსებობს კვლევა, რომელიც შეისწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასწავლო მასალის, სიმღერებისა და რიტმულ ტექსტების ეფექტიანობას საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების შესწავლისას. მათ აქტიურად გამოიყენებენ დაწყებით საფეხურზე, სადაც სწავლება უმეტესწილად სახალისო და გასართობი გზით მიმდინარეობს, რასაც ვერ ვიტყვით შემდგომ საფეხურზე. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს სიმღერების

ტექსტებითა და რიტმული ტექსტებით ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლების ერთგვარი მოდელის შექმნა საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან.

ნაშრომის **კვლევის მიზანს** წარმოადგენს საბაზო საფეხურზე ინგლისურის ენის გრამატიკის სწავლებისას სიმღერებისა და რიტმული ტექსტების გამოყენების პრაქტიკისა და მისი შედეგების კვლევა და მისი ეფექტიანობის დამტკიცება; ასევე კვლევა იმისა, თუ რამდენად და რა გზით იყენებენ მასწავლებლები ამ მრავალფეროვან და სახალისო მასალას საქართველოს მასშტაბით.

კვლევის მეთოდები. კვლევაში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობითი კვლევის მეთოდები. ჩავატარეთ სამაგიდე კვლევა: მოვიძიეთ, დავამუშავეთ და შევაჯერეთ საკვლევი თემის ირგვლივ არსებული მეთოდური სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები და სხვა; შევისწავლეთ განათლების საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციები (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,ეროვნული სასწავლო გეგმა,ენის სტანდარტი და ა.შ.).

საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე ჩავატარეთ ემპირიული კვლევა, რომელიც რამდენიმე გაკვეთილს მოიცავდა. წინასწარ შევიმუშავეთ ყველა საჭირო ინსტრუმენტი, შევადგინეთ პოსტტესტები და კვლევის დასასრულს გავაანალიზეთ მიღებული შედეგები, ამას გარდა, გამოვკითხეთ მოსწავლეები, თუ რამდენად სახალისო და საინტერესო იყო მათთვის მსგავსი ტიპის გაკვეთილებში მონაწილეობა.

ემპირიული კვლევის პარალელურად, ელექტრონული კითხვარის საშუალებით ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა - მასობრივი გამოკითხვა, რომლის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ელექტრონული კითხვარი. კვლევა იყო მიზნობრივი - რესპონდენტებად შევარჩიეთ ინგლისურის ის მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ პრაქტიკაში დროის სხვადასხვა ინტერვალით იყენებენ სიმღერებსა და რიტმულ ტექსტებს. შევადარეთ მიღებული პასუხები და გავამყარეთ ემპირიული კვლევით მიღებული დასკვნები.

კვლევის **შედეგების პრაქტიკული და თეორიული ღირებულება**. კვლევაში წარმოდგენილი მასალის ანალიზი, ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და

რეკომენდაციები აღწერს რეალურ სურათს იმისა, თუ რა მდგომარეობაა ქართულ სკოლებში გრამატიკის საკითხების სწავლების მიმართულებით; ვნახავთ, თუ რამდენად გამოიყენება თანამედროვე სკოლაში სასწავლო მასალად ისეთი თანამედროვე რესურსი, როგორიც მუსიკა და მის ხელთ არსებული უმდიდრესი მონაპოვარია. ჩვენ მიერ მიღებული შედეგები, ვიმედოვნებთ, ხელს შეუწყობს სამომავლოდ ინგლისურის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილზე სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით გრამატიკული საკითხების სწავლებას, რაც შესასწავლ მასალას უფრო დასამახსოვრებელ, ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნის. ჩვენი კვლევისა და მისი დასკვნების გამოყენება წარმატებითაა შესაძლებელი ენის არა მხოლოდ გრამატიკულ დონეზე. ნაშრომი, შესაძლებელია, გამოიყენონ ინგლისური ენის სასწავლო კურიკულუმებში.

თავი 1. გრამატიკა და მისი შინაარსი უცხო ენის გაკვეთილზე

უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებლად უნდა ვფლობდეთ ენის გრამატიკას. უცხოური ენის სტანდარტის მიხედვით (ესგ; 2018), უცხოური ენების სწავლება სკოლაში მიზნად ისახავს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გრამატიკის ცოდნას. შესაბამისად, მიღწეულ შედეგთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია გრამატიკა - ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი. თავად ეს ცნება ,,გრამატიკა'' (ბერძნ. grammatike) თავდაპირველად ნიშნავდა ,,კითხვისა და წერის ხელოვნებას'' და, ამდენად, იგი განათლების ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო. გრამატიკა ისწავლებოდა, როგორც ცალკე მეცნიერება. თანდათანობით მან ენების სწავლებისას ენათმეცნიერებაში შეიძინა ახალი შინაარსი და დატვირთვა:

- სიტყვათა ცვლის წესების ერთიანობა.
- ენის გრამატიკული წყობა;
- ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც გრამატიკულ წყობას შეისწავლის;

1.1. გრამატიკის მნიშვნელოვანი ასპექტები

როცა ვსაუბრობთ გრამატიკასა და მის ცალკეულ საკითხებზე, მნიშვნელოვანია, შევჩერდეთ მის ორ განსხვავებულ ასპექტზე : ფორმა და გამოყენება. პირველი აღნიშნავს ერთეულის გრამატიკულ ფორმას, აგებულებასა და გარეგან გამოხატულებას, ხოლო მეორე, ,,გამოყენება'' - მის კონტექსტს ანუ იმ საკომუნიკაციო სიტუაციას, სადაც იგი სათანადოდ რეალიზდება.

,,კონტექსტი ის სიტუაცია ან ინფორმაციაა (ლინგვისტური თუ არალინგვისტური), რომელიც ერთიანდება გრამატიკული საკითხის ირგვლივ და რომელიც შედეგია ენის კონკრეტული ფორმით გამოყენებისა.' ნახუცრიშვილის მიხედვით, კონტექსტი ის ინფორმაციაა, რომელსაც მოსწავლე თავისი შედგენილი წინადადებებით გადმოსცემს

ანუ იყენებს მას კომუნიკაციურად. ეს შეიძლება იყოს ფაქტები მათი ოჯახების, მეგობრების, გამოცდილებების შესახებ (ე. ნახუცრიშვილი, 2015). კონტექსტის მახასიათებლებია:

- ის უნდა ცხადჰყოფდეს ენის მნიშვნელობასა და იმას, თუ როგორ და რამდენად ეფექტურად გამოიყენება იგი კომუნიკაციური თვალსაზრისით;
- ის უნდა იყოს საკმარისად მარტივი და ეკონომიური იმ მიზნით, რომ დავინახოთ მისი სტრუქტურული აგებულება და ამასთანავე, საკმარისად მდიდარი, რათა ვაჩვენოთ მისი ღირებულება და გამოყენების შესაძლო პერსპექტივა.

1.2. უცხო ენის სწავლების მეთოდები და მათი განვითარების ეტაპები

სკოლაში უცხო ენის შესწავლას არც ისე დიდი ისტორია აქვს. პოლიტიკურმა და სავაჭრო ურთიერთობებმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან უცხო ენის ცოდნა საჭიროებად აქცია. სწორედ ამ დროიდან იწყება უცხო ენის სწავლების მეთოდებისა და გზების განვითარება. ამ მეთოდთაგან უმნიშვნელოვნესი იყო გრამატიკულ-მთარგმნელობითი, ბიჰევიორისტული, კოგნიტური მეთოდები. ეს მეთოდები გარკვეული პედიოდის შემდეგ ერთმანეთს ცვლიდნენ გამომდინარე იქიდან, რომ მათი პრაქტიკაში სრულყოფილად განხორციელება თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი, როგორც ყველაზე გავრცელებული მეთოდის გაჩენა კლასიკური ენების სწავლების საჭიროებამ წარმოშვა. ეს მეთოდი მთლიან გაკვეთილს გრამატიკის გაკვეთილად მოიაზრებს და ამასთან არის დაკავშირებული მისი სახელწოდებაც. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მოდელი ენაში უპირველეს მნიშვნელობას გრამატიკული ცოდნის გაღრმავებასა და დაგროვებას ანიჭებს. ძირითად სასწავლო მასალას საყოველთაოდ აღიარებული მხატვრული ტექსტები წარმოადგენს. ყველა გამოყენებული სავარჯიშოს მიზანი თარგმნაში დახელოვნებაა. გრამატიკული მასალის შესწავლა ძირითადად ზეპირად დასწავლის პრინციპზეა დამყარებული, საუბარს, აღწერებს კი ნაკლები როლი ენიჭება. რომ შევაჯამოთ, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით სწავლების მიზანი გრამატიკული ცოდნის დაგროვება და თარგმნის უნარების განვითარებაა. მისი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მისი მიზანი

არ არის ენის პრაქტიკული ფლობა და მეორე, უცხო ენის გაკვეთილი მთლიანად არა უცხო, არამედ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა, თუ ამ მეთოდის მიზანს დავუბრუნდებით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის საპირისპიროდ ყალიბდება **პირდაპირი ანუ ბუნებრივი შესწავლის მეთოდი,** რომელსაც უმთავრესი მიზანი აბსოლუტურად საპირისპირო აქვს - იგი პრიორიტეტს სამეტყველო ენას ანიჭებს. პირდაპირი შესწავლის მეთოდის საფუძველი ვილჰელმ ვიეტორის თეორიაა, რომელიც პრიორიტეტად ლაპარაკისა და მოსმენის უნარს ისახავს. ამ მეთოდმა სრულიად აკრძალა მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე, სადაც დომინანტი არა მასწავლებელი, არამედ მოსწავლეა. სწავლების ძირითადი პრინციპი ნაკლებადაა მოსწავლეების შეცდომების კონტროლი. იგი მეტ ყურადღებას მათ გამხნევებასა და წახალისებას ანიჭებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში დაინერგა უცხო ენის სწავლების კიდევ ერთი, **შერეული მეთოდი,** რომელმაც გარკვეული მახასიათებლები აიღო გრამატიკულ-მთარგმნელობითი და პირდაპირი მეთოდებიდან. ამ მეთოდზე დაფუძნებული უცხო ენის გაკვეთილი არა მშობლიურ, არამედ სამიზნე ენაზე საუბარს მოითხოვს. გრამატიკის სწავლება ხდება ინდუქციურად და მის სწავლებას არა პრიორიტეტული, თუმცა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

რაც შეეხება **ბიჰევიორისტულ მეთოდს**, იგი საფუძველს მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან იღებს და მის დამფუძნებლად ბ. ფ. სკინერი გვევლინება. ბიჰევიორიზმის მიხედვით, სწავლება განიხილება, როგორც ქცევის დასწავლა ანუ ცვლილება (ინგლ. Behaviour - ქცევა). ბიჰევიორისტული მოდელით სწავლებისას გაკვეთილი გარკვეულ მექანიკურ პროცესად აღიქმება. ეს არის გარკვეული სტიმულის, გამღიზიანებლის ზემოქმედებით ერთგვარი რეაქციების გამოწვევა. ბიჰევიორისტული მეთოდის პრინციპი მდგომარეობს მიბაძვაში. სწავლა-სწავლების პროცესში ეს მეთოდი გამოთქმების, ფრაზების, ახალი სიტყვების, წინადადების დამახსოვრებას გამეორების ხარჯზე ახერხებს. რაც შეეხება მოსწავლესთან მიდგომას, წარმატებული შესწავლის შემთხვევაში ისინი იმსახურებენ ქებას, წარუმატებლობის შემთხვევაში კი, პირიქით - მკაცრ კრიტიკას, რის გამოც თანამედროვე დიდაქტიკოსები ამ მეთოდს კრიტიკულად

უდგებიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ბიჰევიორისტული მეთოდი კლავს ენის შემსწავლელის პოტენციალს.

მართალია, ბიჰევიორისტული მოდელის მთავარი პრინციპი - გამეორება დღესაც აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ ის არ წარმოადგენს თანამედროვე სწავლების ძირითად მეთოდს.

რამდენადაც უცხო ენის გრამატიკის დაუფლება და ზოგადად, ენის სწავლება და სწავლა მეტად რთული პროცესია, დღეს ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს, მოსწავლეები აქტიურად ჩართოს სასწავლო პროცესში და ამისათვის მან მიმართოს ტრადიციულსა თუ თანამედროვე მეთოდებს. ამ პროცესში მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია. სწორედ მასზეა დამოკიდებული, რამდენად საინტერესო, მიმზიდველი და ეფექტიანი იქნება ცოდნის მიღების პროცესი მოსწავლეებისათვის.

1.3. გრამატიკის სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები

გრამატიკის საკითხების სწავლებისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ სწავლების ორი მეთოდი: ინდუქციური და დედუქციური. ორივე მათგანს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც, მათი კომბინირებულად გამოყენების შემთხვევაში, ურთიერთშემავსებელია.

დედუქციური მეთოდით გრამატიკის სწავლებისას მასწავლებელი ორიენტირებულია წესებზე. იგი წესების სახით აწვდის მასალას კლასს. ეს წესი კი შემდგომ მყარდება პრაქტიკული სავარჯიშოებით. დედუქციური მეთოდით სწავლების პროცესი ზოგადიდან კონკრეტულისაკენ მიემართება. *"A deductive approach (rule-driven) starts with the presentation of a rule and is followed by examples in which the rule is applied."* [Thornbury, 1999]

რაც შეეხება ინდუქციურ მიდგომას, ეს არის სწავლება მაგალითების საშუალებით, რომელიც მიემართება კონკრეტულიდან ზოგადისაკენ ანუ მაგალითიდან წესისაკენ

(მოსწავლეს ეძლევა მაგალითები, რომელთაგანაც იგი თავად აღმოაჩენს გრამატიკულ წესს). ინდუქციური სწავლების წყაროები და დამხმარე საშუალებებია:

- კონკრეტული მაგალითები (შედგენილი ისე, რომ მოსწავლე ინდუქციურად თავად მივიდეს გრამატიკულ წესამდე, აღმოაჩინოს იგი).
- სათანადო ტექსტები (მაგალითად, დიალოგის ან სხვა ნებისმიერი სახის ტექსტის მოსმენის ან მისი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეს უკვე შეუძლია, გააკეთოს დასკვნები და უპასუხოს შეკითხვებს კონკრეტულ გრამატიკულ საკითხთან მიმართებით).

ინდუქციურ მიდგომას სხვაგვარად წესის აღმოჩენის სწავლებასაც (Noticing the rules) უწოდებენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი მაგალითიდან წესისაკენ ანუ კერძოდან ზოგადისაკენ მიდის. ამ მეთოდის გამოყენებით, მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, რომ მან თავად აღმოაჩინოს, უკეთ გააცნობიეროს ესა თუ ის გრამატიკული წესი მისი დეტალური ახსნის გარეშე. მასწავლებელი აწვდის სათანადო მაგალითებს და ავალებს, რომ ამ მაგალითებზე დაყრდნობით შეიმუშავონ შესაბამისი წესი. ინდუქციური მიდგომა ხელს უწყობს გრამატიკის საკითხების უკეთ დამახსოვრებასა და შესწავლას.

1.4. PPP მოდელი და მისი სამი ძირითადი ფაზა

გრამატიკული საკითხების სრულყოფილად ასახსნელად ჰარმერი (Harmer, 2001) გვთავაზობს სწავლების კიდევ ერთ ახალ PPP მოდელს, რომელიც მოიცავს სამ უმნიშვნელოვანეს ფაზას: პრეზენტაციას (Presentation), პრაქტიკასა (Practice) და წარმოებას (Production). PPP მოდელის სამი ძირითადი საფეხურიდან ერთ-ერთი, ,,პრეზენტაცია'', ჩვეულებრივ, გულისხმობს მოსწავლეებისათვის ამა თუ იმ მასალის, ენობრივი ერთეულის გაცნობას, ახსნას, წარდგენას. ეს არის ახალი მასალის ახსნა. ამისათვის მას შეუძლია, გამოიყენოს და გააქტიუროს მოსწავლეთა მანამდე არსებული ცოდნა, აჩვენოს მათ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (ფოტოსურათები, ვიდეოები, ჟესტიკულაცია და ა.შ.), რომელსაც აუცილებლად მოჰყვება კითხვა-პასუხი და დისკუსია. რაც შეეხება კლასში არსებულ გარემოს, იგი აუცილებლად უნდა იყოს

მშვიდი, თავისუფალი და შეუზღუდავი, ყოველგვარი სტრესული ფაქტორისა და დაძაბულობის გარეშე. კარგი და ეფექტური პრეზენტაცია უნდა იყოს: ცოცხალი, საინტერესო, რათა მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით ჩაებან სწავლების პროცესში, ასევე, შესაბამისი იმ ენობრივ დონესთან, რომელიც კლასის მოსწავლეთა უმეტესობას აქვს.

პრეზენტაციის შემდგომი ფაზაა პრაქტიკა (Practice), რომლის მიმდინარეობისას მოსწავლეები ვარჯიშობენ შესწავლილ ენობრივ ერთეულებზე და იყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობას, მაგალითად, გუნდურ და ინდივიდუალურ გამეორებას, მასტიმულირებელ სავარჯიშოებსა და ა.შ. მოსწავლეთა მხრიდან თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი კრეატიულობა და ისინი ვარჯიშობენ იმ საკითხებზე, რომლებსაც მასწავლებელი ავალებს მათ. ამას გარდა, მასწავლებელი ასწორებს მათ მიერ დაშვებულ ყველა შეცდომას.

მესამე საფეხურია წარმოება (Production), რომლის დროსაც ენის შემსწავლელები, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად ადგენენ წინადადებებს ან უფრო ვრცელ ენობრივ ერთეულებს. ამ ფაზას სხვაგვარად ,,პირდაპირი კრეატიულობის'' სახელითაც ვიცნობთ, რადგან, პრაქტიკისაგან განსხვავებით, მოსწავლეები საკუთარ შემოქმედების უნარს ავლენენ. მაგალითისათვის, მოსწავლეებს შეუძლიათ, შექმნან რაიმე თხზულება, ლექსი, აღწერონ სიტუაცია მათ მიერ შესწავლილი ენობრივი ერთეულის გამოყენებით. ისინი ქმნიან კონტექსტს.

ეს არის PPP მოდელის მთელი შინაარსი გრამატიკის სწავლებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ გრამატიკული მასალის პრეზენტაცია, შემდეგ მისი პრაქტიკა და წარმოება, არამედ ეს მოდელი, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, წარმოადგენს საკმაოდ კრეატიულსა და ეფექტურ გზას ინგლისური ენის (და არა მხოლოდ) გრამატიკის საკითხების სწავლებისას.

გრამატიკა სიტყვების გარკვეული წესების ერთმანეთთან შემაკავშირებელი კრებულია და იგი დიდ როლს ასრულებს ენის სწავლების პროცესში. მის გარეშე ენა იქნებოდა სრულიად ქაოტური, მოუწესრიგებელი გროვა უთვალავი სიტყვებისა.

გრამატიკის სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე უმთავრეს საკითხსა და პრიორიტეტს წარმოადგენდა და ასეა დღესაც როგორც მასწავლებლისათვის, ისე - მოსწავლეებისათვისაც. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი შესწავლა აუცილებელია და გრამატიკის გარეშე ენაში ვერაფერს გავხდებით, ზოგის აზრით კი, ეს არის უმძიმესი და ურთულესი ტვირთი, რომლის თავიდან აცილება რთული, მაგრამ შესაძლებელია. შედეგად, რა თქმა უნდა, ვიღებთ ენის არასრულყოფილ ცოდნას.

თავი 2. გრამატიკის სწავლების სირთულეები და გამოწვევები საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან

გრამატიკის სწავლება განსაკუთრებით საფრთხილოა საბაზო საფეხურზე იმ მოსწავლეებში, რომლებიც მოზარდობის ასაკში არიან. ჭკუასელის განმარტებით, ამ ასაკში ინდივიდში იქმნება უჩვეულო, სხეულებრივი და სულიერი მდგომარეობა. მოზარდი განიცდის ერთგვარ შინაგან აგზნებულებას, უკმაყოფილებას, მოუსვენრობას, ფიზიკური და სულიერი ძალების მოქანცულობას, რაც მის ქცევაში გამოვლინდება. ამასთან, სასიცოცხლო ენერგიის მეტი ნაწილი მომწიფების პროცესზე იხარჯება, რის გამოც თავს იჩენს დაბალი ნებისყოფისკენ მიდრეკილება. აღნიშნულ გარემოებათა გამო, ხშირად იგრძნობა უკმაყოფილება და გულცივობა, უხეშობა და ჯიუტობა. ს. ბიულერი სქესობრივი მომწიფების ამ ფაზას ,,ნეგატიური ფაზის'' სახელწოდებით მოიხსენიებს. *,,მოზარდის ემოციური ცხოვრება თავისებური ხდება,აღგზნებისა და გაღიზიანებადობის აწეული დონე, რაც გარდამავალი ასაკისთვისაა დამახასიათებელი, ყველაზე მეტ გავლენას სულიერი ცხოვრების ემოციურ მხარეზე ახდენს. სიხარული, მწუხარება, აღშფოთება, მრისხანება მასში სწრაფად წარმოიქმნება და ხშირად მთელ ცნობიერებას იპყრობს.''* [ჭკუასელი, 2012]. ყოველივე ეს ართულებს სწავლების პროცესს და კერძოდ, გრამატიკის სწავლება ამ პირობებში განსაკუთრებით საფრთხილო ხდება.

2.1. გრამატიკა, როგორც შიშის ფაქტორი

საფრთხილოა მოსწავლის ქცევის, მისი განწყობების მართვა საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან. თუ სკეჰანის არგუმენტს დავუჯერებთ (Skehan, 1989), ,,განწყობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხო ენის შესწავლის დროს.'' ის მოსწავლეები, რომლებსაც უარყოფითი დამოკიდებულება და განწყობა აქვთ იმ საგნის მიმართ, რომელსაც ისინი შეისწავლიან, გარკვეული პრობლემების წინაშე დგებიან და ხშირად მათი მიზანი მიუღწეველი რჩება.

დაწყებით საფეხურზე გრამატიკა, შედარებით, უმტკივნეულოდ ისწავლება სკოლებში, რასაც ვერ ვიტყვით საბაზო საფეხურზე. ამ პერიოდში ცნება ,,გრამატიკა'' უარყოფით კონტექსტში განიხილება. ასე მაგალითად:

1. ,,შეგიძლია, გამისწორო გრამატიკული შეცდომები?''
2. ,,დავწერე, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, გრამატიკულად გამართულია თუ არა.''
3. ,,ჩემი გრამატიკის ცოდნის დონე ძალზე დაბალია.''
4. ,,ვერ ვიგებ, ამიტომაც მძულს გრამატიკა.'' (ნახუცრიშვილი 2015)

ნახუცრიშვილის განმარტებით, გრამატიკის საკითხების ახსნა გარკვეულ შიშს, შფოთვას ჰბადებს მოსწავლეებში. მათ აკლიათ რწმენა, თავდაჯერებულობა და ეშინიათ, რომ დაცინვის ობიექტებად იქცევიან, თუ შეცდომას დაუშვებენ; ეშინიათ, რომ მასალას ვერ გაიგებენ. ყოველივე ეს იმის დასტურია, რომ ენის შესწავლა, ჩვენს შემთხვევაში კი, გრამატიკის საკითხების დაუფლება მჭიდრო კავშირშია ფსიქიკურ პროცესებთან, რომელთა შორის უაღრესად მნიშვნელოვანია მოსწავლის ემოციური მდგომარეობა.

უზნაძე აღნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი მეტად რთული ფენომენია. მასში გამუდმებით მიმდინარეობს ცვლილებები სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. რაც შეეხება მის ქცევას, ამ დროს საკმაოდ დიდია განწყობის, ემოციების როლი. თუ მოსწავლეში სწავლა/სწავლების პროცესში უარყოფითი ემოცია სჭარბობს, ეს მას მაშინვე ეტყობა ქცევებზე, სხეულის მოძრაობებზე, სახეზე და ა.შ.

ზოგადად, ემოციები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ყველა მოქმედებაში. რაც შეეხება დადებით ემოციებს, ისინი ერთგვარი კატალიზატორების როლს თამაშობენ, ხოლო უარყოფითი ემოციები - პირიქით, მოსწავლეს სწავლისადმი ინდიფერენტულს ხდიან. ეს ხელისშემშლელი ფაქტორები მოსწავლეს მნიშვნელოვნად აბრკოლებს, გაკვეთილზე იყოს თავისუფალი და ჰქონდეს მოტივაციის მაღალი დონე.

2.2. მასწავლებლის წამყვანი როლი მოსწავლის ემოციური მდგომარეობის მართვისას

მასწავლებელი ცდილობს, შექმნას სასიამოვნო და ჰარმონიული ატმოსფერო კლასში, გამოიწვიოს დადებითი ასოციაციები და კომფორტის განცდა. იგი ცდილობს, მაქსიმალურად ჩართოს თითოეული მოსწავლე საკლასო საქმიანობაში და დაარწმუნოს იგი მოსალოდნელ დადებით შედეგში. ამისათვის იგი ისეთ აქტივობებს სთავაზობს მათ, რომ სასწავლო პროცესი სახალისო, საინტერესო და აქტიური გახდეს. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას, საინტერესო, სახალისო მასალების გამოყენებას, რაც სწავლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გაქარწყლების საწინდარია.

მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი და მოსწავლის ჩართულობა საბაზო საფეხურზე (და არა მხოლოდ) გრამატიკის ახსნის პროცესში ინგლისური ენის გაკვეთილზე: *„მოზარდის აღზრდა და განათლება უმთავრესად, სწავლების გზით წარმოებს. ამ პროცესში მონაწილეობს მასწავლებელი და მოსწავლე. ერთი მხრივ, მასწავლებელი გადასცემს მოსწავლეებს ცოდნა-ჩვევებს, ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლეები ითვისებენ მასწავლებლის მიერ გადაცემულს.”* [ჭკუასელი, 1986].

ამ პროცესში მასწავლებლის წარმატების საიდუმლო მდგომარეობს იმაში, თუ რაოდენ პროფესიონალურად ირგებს იგი მასწავლებლის ამა თუ იმ როლს გაკვეთილზე და რამდენად ეფექტურად აბამს იგი მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობაში. ამასთან, აღსანიშნავია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების ურყევი გარანტიაა. ეს, რა თქმა უნდა, მოიაზრებს საგნის მაღალ დონეზე ცოდნას, პედაგოგიურ უნარებს, შემოქმედებით მიდგომას სწავლების პროცესისა და მეთოდებისადმი და მის მუდმივ მზაობასა და სწრაფვას პროფესიული განვითარებისაკენ. ამას გარდა, უმნიშვნელოვანესია მისი სურვილი და მისწრაფება, აღძრას კლასში შესასწავლი საკითხისადმი ინტერესი, მოტივაცია და სიყვარული.

2.3. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა სწავლების პროცესის მიმართ

მოტივაცია, ეს არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს ენის დაუფლების პროცესში. თავად ტერმინი ,,მოტივაცია'' ფსიქოლოგიაში დაახლოებით 100 წლის წინ დამკვირდა და მას შემდეგ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა, ფაქტობრივად, არც შეცვლილა. მოტივაცია მიმართავს ადამიანს დასახული მიზნისაკენ და ეხმარება მას, შეარჩიოს ამ მიზნისაკენ მისასვლელი ნაბიჯები და გზები. ჰარმერის (Harmer; 2001) აზრით, მოტივაცია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი ფაქტორი, წარმოადგენს ერთგვარ შინაგან ძალას, რომელიც ადამიანს უბიძგებს ქმედებისაკენ დასახული მიზნის მისაღწევად. პედაგოგიკასა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ტერმინს ,,მოტივაცია'' განიხილავენ, როგორც მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესში ჩართულობის, აქტიურობის, მისი სასწავლი მასალისადმი დაინტერესებისა და დადებითი დამოკიდებულების აღსანიშნად.

მოსწავლეები, რომელთაც ახასიათებთ მოტივაციის მაღალი დონე:

- არიან აქტიურები;
- აქვთ რწმენა და თავდაჯერებულობა, მუდმივად აკონტროლებენ საკუთარი ცოდნის ხარისხს და სწამთ, რომ მათი წარმატება არა მხოლოდ იღბალზე, არამედ მათი სწავლის ხარისხზეა დამოკიდებული. მათ სჯერათ, რომ საკუთარ წარმატებას არა მასწავლებელი, არამედ თავად აკონტროლებენ;
- დადებითად არიან განწყობილი სწავლების პროცესისადმი;
- სურთ, იყვნენ დამოუკიდებლები და სოციალურად აქტიურნი.

მოტივაციური პროცესების მართვა თითქმის ყოველთვის შესაძლებელია და ამ პროცესს მოტივირებას უწოდებენ. რა შეიძლება იყოს თანამედროვე სკოლაში მოტივაციის განვითარებისათვის აუცილებელი და საჭირო პირობა? უმთავრესია განსაკუთრებული სასწავლო პროგრამების შექმნა, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული სტილი. ყოველივე ამაში მასწავლებლის როლი

უზღვავი და განუზომელია, ეს არის პრიორიტეტული პედაგოგიური ამოცანა, რომელზე ზრუნვაც თითოეული პედაგოგის უმთავრესი პასუხისმგებლობაა.

თავი 3. გრამატიკული საკითხების სწავლება, როგორც სახალისო და შემეცნებითი სასწავლო პროცესი

პედაგოგის მუდმივი ზრუნვის საგანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და მათი დაინტერესება. ამისათვის იგი იყენებს სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობას, შეფასებებს და ცდილობს, პასუხისმგებლობები გაანაწილოს სწორად.

გრამატიკის საკითხების სწავლება განსაკუთრებით ეფექტიანია მრავალფეროვანი მასალის გამოყენების დროს. მაგალითად, მოთხრობების, სიმღერების, ლექსების, თამაშების. რაც უფრო მრავალფეროვანია სასწავლო მასალა, მით მეტ ინტერესს იჩენს მოსწავლე შესასწავლი საკითხისადმი. ნოზაძე (ნოზაძე; 2012) თავის სტატიაში ,,ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება თამაშებით,'' აღნიშნავს, რომ გრამატიკის სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი აქტივობები, რომლებიც ერთდროულად სახალისოცაა და შემეცნებითიც. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი გართობასაც უნდა ემსახურებოდნენ და სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებასაც. მასწავლებელს, რა თქმა უნდა, შეუძლია სხვადასხვა სახის მასალების ერთდროულად გამოყენება, თუ შესასწავლ საგანთან შესაბამისად განიხილავს. ეს მას შესაძლებლობას მისცემს, გაიგოს, თუ რომელი მათგანია ყველაზე წარმატებული და გამოსადეგი მის გაკვეთილზე. ეფექტიანობის მიზნით, იგი აუცილებლად ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს, ცოდნის დონეს, ინტერესებს, სწავლის სტილს, პიროვნულობასა და ა.შ.

3.1. მუსიკის (სიმღერებისა და რიტმული ტექსტების - Chants) გამოყენების პერსპექტივა გრამატიკის სწავლებისას

ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ სიმღერებზე, კერძოდ, მათ ტექსტებზე, რადგან, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ სიმღერები და რიტმული ტექსტები უმნიშვნელოვანესი საშუალებაა გრამატიკული საკითხების შესასწავლად. სიმღერები სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია დაწყებით კლასებში, თუმცა,

მისი საბაზო საფეხურზე გამოყენების შემთხვევაში, მას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. იგი იტვირთება მრავალფეროვანი ლექსიკით, რთულდება სინტაქსური კონსტრუქციები, მეტ ღირებულებას იძენს გრამატიკული სტრუქტურები. ამ მხრივ, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ საბაზო საფეხურზე სიმღერის ტექსტებითა და რიტმული ტექსტებით (chants) გრამატიკის სწავლება ბევრად უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე ეს დაწყებით კლასებშია.

არ არსებობს რაიმე სტანდარტული სიმღერა გრამატიკის სწავლებისათვის, თუ არ ჩავთვლით ამა თუ იმ სკოლის სასწავლო პროგრამებს, რომლებიც ქმნიან ტექსტებს გრამატიკის კონკრეტული საკითხის ირგვლივ. ესა თუ ის სიმღერა შეიძლება გამოვიყენოთ გრამატიკის სხვადასხვა საკითხის სანიმუშოდ. ტექსტი უნდა გვთავაზობდეს ავთენტურ, დასამახსოვრებელ და რიტმულ ენას. ისინი უნდა გახდნენ მამოტივირებელი მოსწავლეებისათვის, რათა მათ მოუსმინონ, დაიმახსოვრონ და მიბაძონ თავიანთ მუსიკალურ გმირებს.

3.2. 6 მიზეზი, თუ რატომ უნდა გამოვიყენოთ მუსიკა ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლებისას სკოლის საბაზო საფეხურზე

ინგლისურის მასწავლებლებს შეუძლიათ და უმჯობესია, გამოიყენონ სიმღერები და რიტმული ტექსტები გაკვეთილზე. სწორად შერჩეული მასალა შეიცავს ავთენტურ ენას, არის მარტივად მისაღები, უზრუნველყოფს ლექსიკურ, გრამატიკულ და კულტურულ ასპექტებს და სახალისოა მოსწავლეებისათვის. მათი საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია წარვმართოთ წარმატებული პრაქტიკა საუბრის, მოსმენისა და ენის დამუშავებისა და გამოყენების თვალსაზრისით კლასსა და მის ფარგლებს გარეთ. როგორ მუშაობს სიმღერების ლირიკა და რიტმული ტექსტები კლასში?

1. სიმღერები და ჩანტები თითქმის ყოველთვის შეიცავს ავთენტურ, ბუნებრივ ენას. მათი ტექსტები განსხვავდება იმ ხელოვნური ტექსტებისაგან, რომლებსაც სახელმძღვანელოებში ხშირად ვკითხულობთ. თუმცა, მეორე მხრივ, სიმღერები და რიტმული ტექსტები უნდა შეირჩეს დიდი ყურადღებით, რათა იგი ემთხვეოდეს საკვლევ საკითხსა და კლასის ენობრივ დონეს.

2. სიმღერები და რიტმული ტექსტები მარტივია მისაღებად და აღსაქმელად.

3. შესაძლებლობა გვაქვს, მრავალფეროვანი მასალიდან ავირჩიოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი რესურსი. ინტერნეტ სივრცეში, საბედნიეროდ, ძალიან ბევრი მსგავსი მასალაა, რომელთაგანაც შეგვიძლია, შევარჩიოთ შესაბამისი თემის, ენობრივი დონისა და ლექსიკის ტექსტები, რომლებიც არც ძალიან მარტივი იქნება ჩვენი მოსწავლეებისათვის და არც - დაუძლეველი.

4. გაკვეთილის დაგეგმვისას და მსვლელობისას შედარებით მარტივია დროის კონტროლი. შეგვიძლია, ზუსტად განვსაზღვროთ, რა დრო დაგვჭირდება მასალის გადასაცემად ანუ პრეზენტაციისათვის.

5. მოსწავლეები, გარდა გრამატიკული ფორმებისა, ეზიარებიან მდიდარ ლექსიკურ მასალას, მრავალფეროვან აქცენტებს და ამა თუ იმ კულტურულ კონტექსტს. თითოეული ტექსტი და მუსიკა ირეკლავს ამა თუ იმ კულტურას, ტრადიციას და ღირებულებას. მუსიკის თითქმის ყველა ჟანრს ენის განსხვავებული სტილი და ფორმატი აქვს. გოსპელი, სოული, პოპი, როკი, რეჯი, ჯაზი და სხვა ჟანრები განსხვავდებიან არა მხოლოდ აქცენტებით, არამედ ლექსიკით და გამოყენების კონტექსტითაც კი.

6. მოსწავლეს სჯერა, რომ სიმღერა და რიტმული ტექსტები არის ბუნებრივი, სახალისო, რომ მათ შეუძლიათ, ტექსტებსა და მელოდიებში იპოვონ საკუთარი თავი, საკუთარი სამყარო, ხშირად გაექცნენ რეალობას და ეზიარონ რაიმე უფრო საინტერესოს ხელოვნების გზით. რაც უნდა იყოს, მუსიკა და მისი ტექსტები ხშირად აძლევს მოზარდს ფრთების გაშლის, საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებას. ეს პროცესი ხშირად იმდენად შორს მიდის, რომ სიმღერა, ტექსტის წერა ან მისი მოსმენა არა თუ ჰობი, არამედ ცხოვრების წესიც ხდება.

კიდევ ბევრი მიზეზია იმისა, თუ რატომ უნდა გამოვიყენოთ კლასში ეს საშუალებები. მაშასადამე, ინგლისურის, როგორც უცხო ენის, მასწავლებელი, ინგლისურის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელი და ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებელი უმჯობესია, იყენებდეს და ითვალისწინებდეს ამ შესანიშნავ მასალას, როგორც საკლასო აქტივობის ერთ-ერთ მთავარ და ეფექტურ ნაწილს. სიმღერის ტექსტისა და რიტმული ტექსტების გამოყენება კლასში შესაძლებელია რამდენიმე გზით:

- დისკუსია: ჩვენ შეგვიძლია, ეს ტექსტები გამოვიყენოთ დისკუსიის ძირითად საკითხად, რათა განვიხილოთ და ვისაუბროთ გრამატიკის ამა თუ იმ ფორმასა და მის კონტექსტზე.
- შევქმნათ ახალი ტექსტი: საბაზო საფეხურს აქვს ლექსიკური შესაძლებლობა იმისა, რომ იმავე რიტმის დაცვით შექმნას ახალი ტექსტი ან დაამატოს რაიმე უკვე არსებულს. ამისთვის, ის უნდა კონცენტრირდეს რიტმზე, ლექსიკასა და იმ შესაძლებლობებზე, თუ როგორ მოუყრის ამ ყველაფერს თავს კონკრეტული გრამატიკული საკითხის გარშემო. წარმატების შემთხვევაში, ამ მასალამ, შესაძლოა, ჩაანაცვლოს პირვანდელი ტექსტი და ბევრად ეფექტური და დასამახსოვრებელი აღმოჩნდეს, ვიდრე ის.

3.3. სიმღერებისა და რიტმული ტექსტების შერჩევის აუცილებელი პროცედურები

მასალის შერჩევა არის ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პროცესი სასწავლო პროცესში მუსიკის გამოყენებისას. რომ მივაღწიოთ ეფექტიან შედეგს, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი პირობები:

- ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა გვინდა, ვასწავლოთ და რა არის ჩვენი მიზანი გაკვეთილზე, რას ველით შედეგად? თუმცა, რასაც არ უნდა ვისახავდეთ მიზნად, უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვართ შეზღუდულები არც მუსიკის არჩევაში და არც იმაში, თუ რა დამატებითი მიზნით გამოვიყენებთ ჩვენს არჩევანს. მაგალითად, თუ ჩვენ გვსურს, გამოვიყენოთ ამა თუ იმ სიმღერის ტექსტი კონკრეტული

გრამატიკული დროის ასახსნელად, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ყურადღება მივაქციოთ სხვა ენობრივ ერთეულებს, მაგალითად, იდიომებს, რომლებიც ტექსტში საინტერესო კონტექსტით შეგვხვდება.

- ზუსტად განვსაზღვროთ კლასის ენობრივი დონე. ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ჩვენი არჩევანი მასალის შერჩევასთან მიმართებით, არამედ ის აქტივობებიც, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, თუ ჩვენ რომელიმე გრამატიკული დროის ასახსნელად შევარჩიეთ მუსიკა და იგი ზედმეტად სწრაფია კლასისათვის, პროცესს არანაირი შედეგი ექნება. ასევე, თუ ძალიან მარტივი, განმეორებებით დახუნძლული სიმღერა მოვასმენინეთ მოწინავე დონის მოსწავლეებს, საქმე იმედგაცრუებასა და ინტერესის დაკარგვასთან გვექნება.

- ასაკი. თუ მოსწავლეები არიან დაწყებით კლასებში, ჩვენ, სავარაუდოდ, დაგვჭირდება ადვილად გასაგები და აღსაქმელი სიმღერები და რიტმული ტექსტები ხშირი გამეორებებით. საბაზო საფეხურზე არჩევანი შედარებით დიდია. ამ შემთხვევაში შეგვიძლია, თავად მათ ვკითხოთ, რა იქნება მათთვის უფრო საინტერესო.

- კულტურულ-ეთნიკური საკითხები. სასურველია, არ გამოვიყენოთ ისეთი შინაარსის სიმღერები და ტექსტები, რომლებიც მკვეთრად ეთნიკურ ხასიათს ატარებს. უნდა გავითვალისწინოთ მთლიანი აუდიტორია და მათი დამოკიდებულება მსგავსი საკითხის მიმართ. ამ დროს შესაძლებელია, მათ არჩევანის საშუალებაც მივცეთ რამდენიმე შესაძლო ვარიანტს შორის; ასევე, საყურადღებოა ისეთი ტექსტების არჩევა, სადაც დიდი რაოდენობით სლენგია. მათი მოსწავლეებისათვის ახსნა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. უმჯობესია, სიმღერა მაქსიმალურად იყოს ახლოს სალიტერატურო ენასთან.

- ტექსტი უნდა იყოს შესაფერისი კლასის აკუსტიკისათვის. ინსტრუმენტების ხმა არ უნდა სჭარბობდეს სოლისტისას და უნდა იყოს ნათელი, მკაფიო და გასაგები.

- მასალასთან მისაწვდომობა და ტექნიკური მხარე. 21-ე საუკუნეში, რომელსაც ინტერნეტის, YouTube-ისა და Google-ის ეპოქაც კი შეიძლება დავარქვათ, ხელმისაწვდომია, პრაქტიკულად, ყველა ჟანრისა და შინაარსის სიმღერა და ტექსტები, რომელთა გამოყენება მიზნობრივად შესაძლებელია. რაც შეეხება შეეხება მათი გამოყენების ტექნიკურ მხარეს, ამას ინტერნეტით ან მის გარეშეც მარტივად შევძლებთ (მოწყობილობაში წინასწარ ჩაწერილი MP3 ან MP4 ვერსიითა და ხმის გამაძლიერებლებით). მთავარია, შინაარსი ყველა მოსწავლისათვის თანაბრად მისაწვდომი იყოს.

მუსიკის ან ტექსტის გამოყენება საკლასო ოთახში შეზღუდულია საავტორო უფლების გამო. კანონი ყველანაირ უფლებას აძლევს ავტორს, დაიცვას თავისი ქმნილება უკანონო გამოყენებისაგან. ეს ნიშნავს იმას, რომ უკანონოა მუსიკის ან რიტმული ტექსტის გამოყენება სასკოლო წიგნებში, თუ კომპოზიტორმა ან ტექსტის ავტორმა ამაზე არაფერი იცის და, შესაბამისად, არც კომპენსაციას იღებს. თუმცა, დამხმარე მასალად, როგორც არა სახელმძღვანელოს ნაწილი, მათი გამოყენება, რა თქმა უნდა, დასაშვები და ნებადართულია.

3.4. მუსიკით სწავლების შესაძლო გზები ინგლისური ენის გაკვეთილზე

1. სიმღერის მოსმენა. აქტივობა, რომელიც მიზნას ისახავს, რომ სწავლების პროცესი იყოს ერთდროულად სახალისო და ეფექტიანი, არ უნდა იყოს ზედმეტად სერიოზული ან მოსაწყენი. ვკითხოთ მოსწავლეებს, თუ მოუსმენიათ ოდესმე იგი და პირველ ეტაპზე ნუ დავტვირთავთ მათ ამოცანებით. მხოლოდ დავრთოთ ნება, ისიამოვნონ ტექსტითა და მელოდიით (Simpson; 2015).

2. გავაანალიზოთ სათაური და დავსვათ შეკითხვები. ეს შეკითხვები დაეხმარება მათ, უკეთ გაიაზრონ და იგრძნონ სიმღერა. მაგალითად, ქუინის კლასიკური ქმნილებისათვის ,, We are the champions”:
    - რას ნიშნავს ჩემპიონი?
    - ვინ შეიძლება გახდეს ჩემპიონი და როგორ?
3. მეორედ მოვასმენინოთ მასალა, ამჯერად ტექსტთან ერთად. თუ ტექნიკური მხარე ამის საშუალებას არ გვაძლევს, შეგვიძლია, წინასწარ მომზადებული ამობეჭდილი ტექსტები დავურიგოთ მათ. უმჯობესია, ნაბეჭდი ვარიანტი შეიცავდეს გრამატიკული კონსტრუქციის მხოლოდ ნაწილსა და შესაბამისად, ცარიელ ადგილებს, რომლებსაც მოსწავლეები მოსმენის პარალელურად შეავსებენ.
4. ყურადღება გავამახვილოთ იმ გრამატიკულ საკითხზე, რომლის ახსნა და სწავლებაც ჩვენ დავისახეთ მიზნად. მსგავსი განხილვა შეგვიძლია დავიწყოთ შეკითხვებით: ,,ტექსტში რამდენი მაგალითი იპოვეთ, ვთქვათ, აწმყო განუსაზღვრელი დროის?'' ,,რატომ აირჩია სიმღერის ტექსტის ავტორმა ეს დრო ამ წინადადებაში?'' სიმღერის ტექსტიც მხატვრული ნამუშევარია და არ არის მოულოდნელი, რომ გრამატიკული სტრუქტურები დაარღვიოს ავტორმა. მსგავსი ტიპის ტექსტების გამოყენება შეიძლება შეცდომების გასწორების მიზნით. თუმცა, ეს უკვე ენის დამუშავების პროცესია და მაშინ შეგვიძლია, გამოვიყენოთ, როცა მოსწავლეებს ამა თუ იმ საკითხს გავაცნობთ და წესებამდე მივიყვანთ.
5. შემოქმედებითობა - ეს ერთ-ერთი მთავარი წყაროა მოტივაციისათვის. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ენაზე მუშაობის პროცესსა და შედეგის ეფექტიანობას. ჩვენ შეგვიძლია, დავავალოთ მოსწავლეს:
    - დაწეროს მსგავსი ტექსტი, შეიტანოს მასში გარკვეული ცვლილებები იმ გრამატიკული საკითხების მიხედვით, რის დამუშავებასაც მიზნად ვისახავთ. მაგალითად თუ მოსწავლემ უკვე იცის წარსული მარტივი დრო, შეგვიძლია, დავავალოთ მას მსგავსი ტექსტის შექმნა წარსული განგრძობითი დროის გამოყენებით (გაკვეთილის მიზანი - წარსული განგრძობითი დრო).

- მოსმენის შემდეგ დავაწერინოთ ტესტი, რომელიც გამოავლენს მსგავსი აქტივობის შედეგსა და ეფექტიანობას და ამავე შედეგის მიხედვით ვიმოქმედოთ.

3.5. საერთაშორისო გამოცდილება მუსიკით სწავლების მაგალითზე

ერთ-ერთი ძალიან საინტერესო კვლევა მუსიკისა და სიმღერის ტექსტების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩატარდა დასავლეთ ფინეთის მაგალითზე 2007 წლის ნოემბერში და გაგრძელდა 3 თვის განმავლობაში (Pasanen; 2010). კვლევა მიზნად ისახავდა, გამოევლინა, თუ რამდენად და როგორ გამოიყენება მუსიკა ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას. კვლევას ჰქონდა სამი ძირითადი საკვლევი საკითხი: 1) როგორ გამოიყენება მუსიკა ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლებისას; 2) როგორ ირჩევენ მასწავლებლები იმ მასალას, რომლებსაც იყენებენ; 3) რას ფიქრობენ ისინი სწავლებისას მუსიკის გამოყენებაზე.

კითხვარი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაიგზავნა 350 მასწავლებელთან დასავლეთ ფინეთის ტერიტორიაზე. ინფორმაცია გროვდებოდა 3 თვის მანძილზე და ჯამში შეადგინა 118 შევსებული კითხვარი, რაც სრული რაოდენობის 33.7 % იყო.

კვლევით დადგინდა, რომ მასწავლებელთა 10.2 % თვეში ერთხელ მაინც იყენებდა სიმღერების ტექსტებს მოსასმენი და დაბეჭდილი სახით გრამატიკის სწავლებისათვის. ხოლო 1.7%-მა განაცხადა, რომ კვირაში ერთხელ მაინც მიმართავდა მას. გამოკითხულთა 28%-მა განაცხადა, რომ სწავლების პროცესში არასდროს გამოუყენებია მუსიკა საკლასო ოთახში.

რაც შეეხება იმას, თუ რა მეთოდით იყენებდნენ გამოკითხულები სიმღერებს, დიდი უპირატესობა მიენიჭა კონკრეტული გრამატიკული საკითხის მაგალითების აღმოჩენას და ამით ნასწავლის განმტკიცებას.

რაც შეეხება მასალის არჩევანს, გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ მთავარი ფაქტორებია შემდეგი: ლინგვისტური თანხვედრა სიმღერის ტექსტსა და

კლასის ენობრივ დონეს შორის (22.1 %); მომღერლის მკაფიო მეტყველება (18.6%); მუსიკალური ჟანრი (6.8 %) და ტექსტის შესაბამისობა სასწავლო მასალასთან (52.5 %).

გამოკითხვის მესამე ნაწილი შეეხებოდა მონაწილეთა ანუ მასწავლებელთა მოსაზრებასა და დამოკიდებულებას მუსიკის გამოყენებაზე ინგლისურის, როგორც უცხო ენის (EFL) სწავლებისას. გამოკითხულთა 57.7 % თანხმდებოდა იმაზე, რომ მუსიკა იყო მამოტივირებელი და, შესაბამისად, ეფექტიანი მოსწავლეებისათვის და სასწავლო პროცესისათვის. დანარჩენი ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი მსგავსი სწავლების მიმართ.

თავი 4. მუსიკით სწავლების პრობლემატიკა ქართულ სკოლებში - კვლევითი ნაწილი

ჩვენ დავინტერესდით, ამ მხრივ, რა მდგომარეობა იყო საქართველოს საჯარო თუ კერძო სკოლებში. თუმცა, რადგან მსგავსი კვლევა ვერ მოვიძიეთ, საჭიროდ ჩავთვალეთ, თავად გვეკისრა ეს პასუხისმგებლობა. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით შესწავლის ეფექტიანობის დადგენა საბაზო საფეხურზე (საქართველოს სკოლების მაგალითზე). განხილული თეორიული მასალის საფუძველზე შევიმუშავეთ ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილისათვის საჭირო რეკომენდაციები.

კვლევისათვის გამოვიყენეთ **რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის** მეთოდები. საქართველოს მასშტაბით ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა. ინგლისური ენის მასწავლებლები გამოვკითხეთ სპეციალურად შექმნილი ელექტრონული კითხვარის მეშვეობით. შემდეგ ეტაპზე, შევარჩიეთ გრამატიკის სხვადასხვა საკითხისათვის საჭირო მასალები, შევიმუშავეთ გაკვეთილის ძირითადი აქტივობები და ერთგვარი მოდელი, რომლის პრაქტიკულ ღირებულებას დავაკვირდით ქ. თბილისის 128-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასში.

4.1. ინგლისური ენის მასწავლებელთა გამოკითხვა

ინგლისური ენის სიმღერებითა და რიტმული ტექსტების საშუალებით გრამატიკის საკითხების შესწავლის აქტუალობისა და ეფექტიანობის დასადგენად შევძელით, ხმა მიგვეწვდინა ინგლისური ენის 5 000-მდე მოქმედი პედაგოგისათვის, რომელთაგან გამოვლინდა მხოლოდ 8 ისეთი მასწავლებელი, რომელიც თავის პრაქტიკაში იყენებს სიმღერებსა და რიტმულ ტექსტებს (Chants) (ინგლისური ენის სწავლებისას საბაზო საფეხურზე). მათთან წინასწარ იყო შეთანხმებული კითხვარის შევსების ინსტრუქცია. ასევე, ავუხსენით, რომ მათი ანონიმურობა დაცული იქნებოდა კვლევის შედეგების წარმოდგენისას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის საჯარო სკოლის, სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის, ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის, ქარელის მე-2 საჯარო სკოლის, სსიპ ბერბუკის საჯარო სკოლის, კერძო სკოლა ,,ინტელექტის'', ქ. თბილისის 209-ე საჯარო სკოლის და ქ. სენაკის კერძო სკოლა ,,მარიოტას'' ინგლისური ენის მასწავლებლებმა, რომელთაც აქვს ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობის, მინიმუმ, 4 წლიანი და, მაქსიმუმ, 21 წლიანი გამოცდილება.

კვლევის პროცესში ყურადღება ნაკლებად გამახვილდა რაოდენობაზე, გამოიყო უმთავრესი საკითხი: **როგორ ხდება უცხო ენის გრამატიკული საკითხების ათვისება ინგლისური სიმღერებისა და რიტმული ტექსტების (Chants) საშუალებით სკოლის საბაზო საფეხურზე?**

I კითხვას: ,,თქვენი სამუშაო გამოცდილება (რამდენი წელია ასწავლით ინგლისურს, როგორც უცხო ენას?) - მასწავლებლებმა განსხვავებული პასუხი გასცეს. მათი სამუშაო გამოცდილება მერყეობდა 4-დან 21 წლამდე.

II კითხვაში: ,,რა მეთოდებს იყენებთ ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებისას სკოლის საბაზო საფეხურზე?'' - ჩვენ მათ შევთავაზეთ რამდენიმე შესაძლო პასუხი (ინდუქცია, დედუქცია,PPP- პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუცირება); ასევე მივეცით საშუალება, თავად დაემატებინათ კონკრეტული მეთოდი, რომლებსაც ისინი იყენებენ ან მოენიშნათ რამდენიმე მოდელი ერთად (დიაგრამა 4.1.1). 8 გამოკითხულიდან 7-მა ანუ 87.5 %-მა აირჩია ინდუქციური მეთოდი, ერთმა (12. 5%) კი - PPP- პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუცირება. მათგან არც ერთმა მიუთითა ალტერნატიული მეთოდი.



დიაგრამა 4.1.1.

III კითხვაზე: „თუ იყენებთ სიმღერებს და/ან რიტმულ ტექსტებს (Chants) ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლებისას საბაზო საფეხურზე?" - მივიღეთ მხოლოდ დადებითი პასუხი, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო, რადგან კითხვარი გადაეგზავნათ მხოლოდ იმ მასწავლებლებს, რომლებსაც სწავლების მსგავსი გამოცდილება გააჩნიათ. შესაბამისად, მოცემული შეკითხვის ერთადერთი მიზანი მხოლოდ ის იყო, დავრწმუნებულიყავით, რომ მასწავლებელთა შერჩევა იყო მიზნობრივად სწორი (დიაგრამა 4.1.2).



დიაგრამა 4.1.2.

IV კითხვაზე: „თუ იყენებთ, რამდენად ხშირად?" - მასწავლებლები შემდეგ პასუხებს გვაძლევენ: თვეში ერთხელ, კვირაში ორჯერ, თვეში ორჯერ, თვეში ერთხელ ან მეტჯერ, ყოველ გაკვეთილზე, კვირაში ორ ან სამჯერ.

მათი პასუხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მათი ნაწილი მოცემულ მასალას იყენებს, როგორც დამატებითსა და დამხმარეს, ნაწილი კი - როგორც ძირითადს.

V კითხვაში: „რა კრიტერიუმებით ირჩევთ მასალას?" - მასწავლებლებს შევთავაზეთ განსხვავებული პასუხები, რომელთაგან მათ შეეძლოთ, აერჩიათ რამდენიმე ერთი ან რამდენიმე პასუხი ერთად ან დაემატებინათ დამატებითი კრიტერიუმი, რომლითაც თავად ხელმძღვანელობენ მასალის შერჩევისას. პასუხები განაწილდა ასე (დიაგრამა 4.1.3.) : 4-მა მასწავლებელმა (50 %) ძირითად კრიტერიუმად აირჩია **გრამატიკული საკითხი ანუ თემატურობა**, 1-მა (12.5%) - **მასალის ხელმისაწვდომობა**, 3-მა (37.5%) - **ტექსტის მოსწავლეთა ასაკთან შესაბამისობა**, 7-მა (87.5%) - **მოსწავლეთა ენობრივ დონესთან შესაბამისობა**, 1-მა (12.5%) - **ჟანრი**, 1-მა (12.5%) კი დაამატა ახალი კრიტერიუმი - **მოსწავლეთა ინტერესები**.



დიაგრამა 4.1.3.

პასუხებიდან შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა უმეტესობა უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუ რამდენად შეესაბამება შერჩეული მასალა მოსწავლეთა ენობრივ დონეს. ჩვენთვის, ნაწილობრივ, გაუგებარი დარჩა, რატომ აირჩია მასალის თემატური შესაბამისობა შესასწავლ მასალასთან მასწავლებელთა მხოლოდ ნახევარმა, თუმცა, ვივარაუდეთ, რომ ისინი მიუხედავად იმისა, აფიქსირებენ თუ არა ამ უმთავრეს

კრიტერიუმს, ხელმძღვანელობენ ამ ძირითადი პრინციპით. სხვაგვარად, მათი გაკვეთილი იქნება მისაღწევ მიზანსა და თემატურობას სრულიად აცდენილი.

VI კითხვაზე: ,,რა არის ძირითადი წყარო, რომელსაც იყენებთ მასალის მოსაძიებლად?" - მასწავლებელთა უმეტესობამ დაასახელა ინტერნეტი (YouTube, British Council, BusyTeacher.org) და ინგლისური ენის დამატებითი სახელმძღვანელოები.

შემდეგ VII კითხვაზე: ,,როგორ გამოიყენებთ სიმღერების ტექსტებს და/ან რიტმულ ტექსტებს გრამატიკის სწავლებისას? რომელ ძირითად ეტაპებს გამოჰყოფდით?"- მასწალებლებმა გაგვცეს შემდეგი პასუხები:

,,პირველ ეტაპზე, ვარჩევ მოსწავლის სწავლების დონის შესაბამის სიმღერას. შემდეგ, მათ ვთხოვ, დააკვირდნენ, რომელი ნაცნობი გრამატიკული კონსტრუქცია შეამჩნიეს და ვთხოვ, დაწერონ იგი. ამით მე ვაფასებ მათ მოსმენის უნარს და ვცდილობ, წერაშიც ვავარჯიშო."

,,ბავშვებს ვაძლევ ტექსტებს ამობეჭდილი სახით და გამოტოვებული ადგილებით. ვტოვებ არტიკლებს, წინდებულებს, ზმნებსა და ა.შ. შემდეგ ვასმენინებ სიმღერას და ისინი გამოტოვებულ ადგილებს ავსებენ."

,,მოსწავლეები უსმენენ და სიმღერის ტექსტში სვამენ ფრჩხილებში მოცემული დროის ფორმებს (მაგ, აწმყო მარტივი ან განგრძობითი, აწმყო ან წარსული სრული დროის ფორმებსა და ა.შ)."

,,როცა ავხსნი გრამატიკულ მასალას, დამატებით მასალად ვასმენინებ სიმღერებს ან რიტმულ ტექსტებს, სადაც ისინი პოულობენ იმავე გრამატიკული საკითხის მაგალითებს, რითაც ისინი უკეთ იმახსოვრებენ ნასწავლს."

დაფიქსირებული პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები სიმღერებს იყენებენ უკვე შესწავლილი მასალის განსამტკიცებლად და სავარჯიშოდ, რაც ეხმარება მოსწავლეებს ნასწავლის განმტკიცებასა და ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნაში.

VIII კითხვაზე:,,თქვენი, როგორც მასწავლებლის, თვალსაზრისით, როგორ შეაფასებდით მუსიკას - სიმღერების ტექსტებსა და რიტმულ ტექსტებს, როგორც მრავალმხრივ

სახალისო მასალას ინგლისური ენის გრამატიკის შესასწავლად სკოლის საბაზო საფეხურზე?" - მასწავლებელთა აბსოლუტური ნაწილი თანხმდება, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და გზაა იმისა, რომ სწავლების ხშირად მოსაწყენი პროცესი გავხადოთ აქტიური, სახალისო და ეფექტიანი:

,,მათი რთული ასაკის მიუხედავად, ყველაზე აქტიურები და მხიარულები მოსწავლეები სწორედ სიმღერების მოსმენისა და მათი გამოყენების პროცესში არიან."

,,ამ მასალით გამყარებულმა გაკვეთილებმა მოსწავლეებთან მეტად დამამეგობრა და დამაახლოვა. შესაბამისად, მათთვის სწავლების პროცესიც უფრო საინტერესო და შედეგიანია."

,,მსგავსი ტიპის აქტივობები დადებით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე, უვითარებს მათ ესთეტიკურ გემოვნებას და სწავლების პროცესს ხდის მეტად საინტერესოსა და სრულყოფილს."

,,ჩემი მოსწავლეები დადებითად არიან განწყობილნი. გაკვეთილის მიმდინარეობისას კი ეს საუკეთესო პირობაა მისი წარმატებით დასრულებისათვის."

შემდეგ **IX კითხვაზეც: ,,შეაფასეთ კლასის ჩართულობის დონე სიმღერების ტექსტებითა და რიტმული ტექსტებით გრამატიკის სწავლების პროცესში სკოლის საბაზო საფეხურზე. 1 - მინიმალური, 5 - მაქსიმალური"** - მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%) 5 ქულით შეაფასა მათ მოსწავლეთა ჩართულობა (დიაგრამა 4.1.4.)



დიაგრამა 4.1.4.

ერთხმად მიღებული დადებითი პასუხი, გარკვეულწილად, არარეალურად ჟღერს და გვგონია, რომ მასწავლებლები კითხვარის ამ ნაწილში სუბიექტურები იყვნენ, გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია, საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლეს ერთნაირად უყვარდეს მუსიკა, მუდმივად მოსწონდეს ის მასალა, რომელსაც მას მასწავლებელი შეურჩევს და მიაწოდებს. ამას გარდა, ანგარიშგასაწევია მათ ასაკთან დაკავშირებული სირთულეები, მათი ემოციური მდგომარეობა, რომელიც ხშირად არ იძლევა საშუალებას, იყვნენ თავისუფლები და ლაღები.

X კითხვაზე: „რა სირთულეებს აწყდებით მსგავსი მეთოდით სწავლებისას?" - მათგან ასეთი პასუხები მივიღეთ:

„სირთულეებს სრულიად არ ვაწყდები."

„პროცესი მეტად შრომატევადია რესურსების მომზადების მხრივ, რადგან მიწევს საკითხთან დაკავშირებით მუსიკის მოძიება, ეს კი ამავდროულად უნდა იყოს ასაკობრივად და ენობრივად შესაბამისი კლასთან."

„ნელი ინტერნეტი ან ინფორმაციის (მასალის) სიმწირე."

„სწავლების პროცესში ჩვეულებრივზე მეტი ხმაური, თუმცა, ეს არ მიმაჩნია მნიშვნელოვან სირთულედ."

„მოსწავლეებს ცეკვა უნდებათ ხოლმე და მეც ზოგჯერ მიწევს, შევუერთდე მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალებას შემისრულებენ."

„ტექნოლოგიის სიმწირე სკოლაში და კლასის აკუსტიკა."

პასუხებიდან აშკარაა, რომ მსგავსი მასალის მომზადება იმ სახით, რომ იგი კლასში გამოყენებადი გახდეს, საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, რასაც მასწავლებლები ხშირად უფრთხიან. გარდა ამისა, მათ არ აქვთ ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც მათ ხელს შეუწყობს, გაკვეთილი საინტერესო და ხალისიანი გახადონ. ამიტომაც, მათი კეთილი ნებით, ისინი თავად უზრუნველჰყოფენ გაკვეთილს როგორც შინაარსობრივად, ასევე ტექნიკურად. ეს დიდი გამოწვევაა თითოეული მასწავლებლისათვის.

XI კითხვაზე: „თქვენი გამოცდილებით, არის თუ არა ეფექტიანი სიმღერებისა და/ან რიტმული ტექსტების გამოყენება გრამატიკის საკითხების სწავლებისას? თუ არის, თქვენი აზრით, რატომ? " - მასწავლებლები თემატურად აგრძელებენ წინა შეკითხვებზე პასუხს:

„პირველ რიგში, გაკვეთილი არ არის ჩვეულებრივი, სტანდარტული, ის ინოვაციურია. შემდეგ, მოსწავლეებს ვაცნობ და ვაყვარებ ინგლისურ სიმღერებს. ისინი უსმენენ და მღერიან საყვარელ და ამასთანავე, მათთვის ძალიან გამოსადეგ სიმღერებს. ამით კი ამრავალფეროვნებენ გრამატიკულ, ლექსიკურ მარაგსა და აუმჯობესებენ აქცენტს. ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად მიბაძონ ინგლისურენოვან მომღერალს გამოთქმაში. ამიტომაც მგონია, რომ უმნიშვნელოვანესი ამ პროცესში მასალის შერჩევაა."

„რა თქმა უნდა, ეფექტიანია. ასეთი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს შესასწავლი საკითხის საინტერესოდ მიწოდებასა და დამუშავებას, მოსწავლეს უადვილებს მასალის ათვისებას და ნასწავლის განმტკიცებას. გარდა ამისა, კლასში სასიამოვნო გარემოს შექმნას უწყობს ხელს."

„ძალიან კარგი შედეგი გვაქვს, რადგან კლასი მაქსიმალურადაა ჩართული."

ბოლო, **XII კითხვაში** პედაგოგებს ვკითხეთ, **სურდათ თუ არა რაიმეს დამატება** ან რაიმე **რჩევის მოცემა** ჩვენთვის. მათ ერთხმად ისურვეს, რომ აღნიშნული ტიპის გაკვეთილები აქტიურად უნდა ტარდებოდეს, განსაკუთრებით, საბაზო საფეხურზე:

„არაჩვეულებრივია სიმღერებით ცოდნის დონის ამაღლება, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება სწავლების პროცესში, რაც ეტაპობრივად დახვეწს მათ მუსიკალურ გემოვნებას."

„ვისურვებდი, ბევრი ასეთი გაკვეთილი ჩატარდეს საბაზო საფეხურზე მთელი საქართველოს მასშტაბით და ამაზე სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს, რომ საკლასო ოთახები იყოს სათანადოდ აღჭურვილი. "

„გავხადოთ სასწავლო პროცესი უფრო დადებითი, საინტერესო და წამახალისებელი. თქვენ კი გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში!"

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისური ენის 5 000-მდე პედაგოგიდან მხოლოდ 8 აღმოჩნდა ისეთი, რომელიც საბაზო საფეხურზე სიმღერების ტექსტებსა და რიტმულ ტექსტებს (Chants) იყენებს გრამატიკული საკითხების დასამუშავებლად. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობაში და შეგვძინა მეტი ინტერესი და ხალისი ამ საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევისათვის.

- მასწავლებელთა პასუხები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჰიპოთეზას, რომ სიმღერებისა და რიტმული ტექსტების გამოყენება გრამატიკის საკითხების ასახსნელად და დასამუშავებლად წარმოადგენს არათუ საფრთხეს, არამედ, პირიქით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა, გავხადოთ სწავლების ხშირად ერთფეროვანი და მოსაწყენი პროცესი მეტად სახალისო და ეფექტიანი, შევუქმნათ ბავშვებს სწავლების მოტივაცია და ხალისი და მათი ცოდნა გარდავქმნათ ფუნქციურ ცოდნად;

- გამოკითხვით გამოვლინდა, რომ სიმღერებისა და რიტმული ტექსტების გამოყენება მრავალმხრივაა შესაძლებელი. მასწავლებლები საბაზო საფეხურზე მათ იყენებენ მასალის განსამტკიცებლად, სავარჯიშოდ და ა.შ.;

- მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული 8 მასწავლებლიდან 7-მა (87.5%-მა) გრამატიკის საკითხების სწავლების ინდუქციური მეთოდი აირჩია გამოყენებულ უმთავრეს მეთოდად, საინტერესოა, რომ ამ შვიდიდან არც ერთს აღუნიშნავს, იყენებენ თუ არა მუსიკას აღნიშნული მეთოდით. რა თქმა უნდა, ისინი ახალ გამოწვევებსა და სწავლების გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნებისათვის მიწოდებულ იდეებს მხოლოდ მიესალმებიან, თუმცა, როგორც გამოკითხვით დადგინდა, მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე სიმღერები და რიტმული ტექსტები არ გამოიყენება გრამატიკული საკითხის ასახსნელად. ისინი მათ იყენებენ მხოლოდ მასალის განსამტკიცებლად და სავარჯიშოდ.

4.2. ემპირიული კვლევა

როგორც მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებში აღვნიშნეთ, მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე სიმღერები და რიტმული ტექსტები არ გამოიყენება გრამატიკული საკითხის ასახსნელად. ისინი მათ იყენებენ მხოლოდ მასალის განსამტკიცებლად და სავარჯიშოდ.

გადავწყვიტეთ, ჩვენი ემპირიული კვლევა სწორედ ამ მიმართულებით გვეწარმოებინა და ინგლისური ენის გაკვეთილზე გრამატიკული საკითხები აგვეხსნა და გვესწავლებინა ინდუქციური მეთოდით სიმღერებისა და რიტმული ტექსტების საფუძველზე.

პირველ ეტაპზე, შევარჩიეთ გრამატიკის კონკრეტული საკითხები, რომლებიც კლასის კურიკულუმით იყო განსაზღვრული, რათა მათი სწავლება არ ყოფილიყო კონტექსტს მოწყვეტილი. შემდეგ ეტაპზე, მოვიძიეთ და დავამუშავეთ სასწავლო მასალები, შევიმუშავეთ გაკვეთილის ძირითადი აქტივობები და ერთგვარი ინდუქციური მოდელი, რომლის პრაქტიკულ ღირებულებასა და ეფექტიანობას დავაკვირდით ქ. თბილისის 128-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრამატიკის სწავლების ინდუქციური მიდგომა, ეს არის სწავლება მაგალითების საშუალებით, რომლებიც მიემართება კონკრეტულიდან ზოგადისაკენ ანუ მაგალითიდან წესისაკენ (noticing the rules - მოსწავლეს ეძლევა მაგალითები, რომელთაგანაც იგი თავად აღმოაჩენს გრამატიკულ წესს). სწორედ ამ მეთოდზე ავაგეთ გრამატიკული საკითხების სწავლების პროცესი და მსგავსი პრინციპით ჩავატარეთ 4 ძირითადი გაკვეთილი, რომლებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

კვლევისათვის შევარჩიეთ ჩვენთვის საინტერესო 4 ძირითადი გრამატიკული საკითხი:

1. გამყოფი კითხვები (Question Tags);
2. ირიბი თქმა (Indirect Speech);

3. კითხვითი ნაცვალსახელები (Interrogative Pronouns) და კითხვითი ზმნიზედები (Interrogative Adverbs);
4. არარეალური პირობითი წინადადება წარსულ დროში (Conditional Sentences Type III).

შემდეგ ეტაპზე, შევუდექით მასალის ძიების პროცესს. ამ ტიპის წყაროების მოძებნა სწავლების ყველა საფეხურისთვისაა შესაძლებელი. მთავარია, გავითვალისწინოთ სწავლების მიზანი.

მიუხედავად იმისა, რომ მასალა საკმაოდ რთულად მოსაძიებელი აღმოჩნდა, დავალებას თავი მაინც გავართვით. შესასწავლ მასალას მივუსადაგეთ საზოგადოებისათვის საკმაოდ ნაცნობი თუ უცნობი სიმღერები და რიტმული ტექსტები (Jazz Chants), რომლებიც გარდა თავიანთი საინტერესო და მდიდარი ლირიკისა, მუსიკალურად ძალიან გემოვნებიანი და დახვეწილია. გამოვიყენეთ შემდეგი მუსიკალური მასალა:

- გამყოფი კითხვები (Question Tags):
  The Beautiful South- "A little time".

- ირიბი თქმა (Indirect Speech):
  Timbaland – "Apologize";
  The Beatles – "Norwegian Wood".

- კითხვითი ნაცვალსახელები (Interrogative Pronouns) და კითხვითი ზმნიზედები (Interrogative Adverbs) :
  Jazz Chants By Carolyn Graham.

- არარეალური პირობითი წინადადება წარსულ დროში (Conditional Sentences Type III):
  Rednex- "Cotton Eye Joe";
  Adele – "If It Hadn't Been For Love";

Gloria Geynor : "I Will Survive".

ოთხივე გაკვეთილი ავაგეთ ერთსა და იმავე პრინციპზე, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ნაშრომში სიღრმისეულად გვესაუბრა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე.

ქვემოთ წარმოდგენილია გრამატიკული საკითხის - **გამყოფი კითხვები (Question Tags)** სიმღერით სწავლების ნიმუში ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, ერთი გაკვეთილის მიხედვით სკოლის საბაზო საფეხურზე (მე-9 კლასი):

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი (ერთი აკადემიური საათი), თუმცა, რადგან სკოლაში გრამატიკის საკითხები არ ისწავლება იზოლირებულად, პროგრამულ არაგრამატიკულ მასალაზე მუშაობის შემდეგ, კლასის პედაგოგს ვთხოვეთ, ჩვენი კვლევისათვის თითოეულ გაკვეთილზე დაეთმო 30 წუთი.

სწავლების მიზანი: გამყოფი შეკითხვების შესახებ თეორიული ცოდნის გადაცემა და დამუშავება კონტექსტის თვალსაზრისით. თემის განხილვის შემდეგ, მოსწავლემ უნდა შეძლოს: თეორიულად ისაუბროს გამყოფ შეკითხვებზე, ისაუბროს მათ სტრუქტურულ აგებულებაზე, გამოიყენოს გამყოფი კითხვების კონსტრუქციები კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით.

რესურსები: ინტერნეტი, დაფა, ცარცი, სამუშაო ფურცლები (handouts), ხმის უსადენო გამაძლიერებელი, ტელეფონი/ტაბლეტი/კომპიუტერი.

სწავლების საფეხური:A2

მოსწავლეთა რაოდენობა გაკვეთილზე: 22

გრამატიკულ საკითხზე საუბრის დასაწყისში - აქტივაციის ფაზაში - მასწავლებელი ამზადებს მოსწავლეებს, ააქტიურებს მათ წინარე ცოდნას. იგი სვამს კითხვებს:

- *გაგიგიათ თუ არა ტერმინი „გამყოფი კითხვები ანუ Question Tags?"*
- *თუ გაგიგიათ, რა ინფორმაციას ფლობთ ამ საკითხის შესახებ?*

- *თუ არ გაგიგიათ, რა არის თქვენი ვარაუდები ამ საკითხთან მიმართებით? როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება ნიშნავდეს?*

მოსწავლეები ცდილობენ, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს. მიზანშეწონილია, რომ კლასის მოსწავლეთა უმეტესობისათვის შესასწავლი საკითხი იყოს სრულიად უცხო. ისინი დისკუსიის რეჟიმში განიხილავენ მითითებულ საკითხს, თუმცა, ცხადია, რომ მათთვის საკითხი ახალი და უცნობია. მათთვის გასაგებია მხოლოდ ის, თუ რას შეიძლება, ქართულად აღნიშნავდეს მსგავსი ტიპის შეკითხვა. მაგალითად:

,,დღეს ბევრი სამეცადინო გვაქვს, **არა**?''

კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ, მასწავლებელი ყოველგვარი ახსნის გარეშე ურიგებს მათ სამუშაო ფურცლებს, რომლებზეც მოცემულია ტექსტის ნაწილი სიმღერიდან ***"A little time"***. სიმღერის ავტორია ***The Beautiful South***. ტექსტის ამ ნაწილში გაფერადებულია გამყოფი შეკითხვების ყველა მაგალითი, რათა მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ დაინახონ და შეამჩიონ ერთგვარი კანონზომიერება.

Tag Questions

A Little Time by The Beautiful South

I need a little time to think it over

I need a little space just on my own

I need a little time to find my freedom

I need a little

It's funny how quick the milk turns sour

Isn't it, isn't it?

Your face has been looking like that for hours

Hasn't it, hasn't it?

Promises, promises turn to dust

Wedding bells just turn to rust

Trust into mistrust

I need a little room to find myself

I need a little space to work it out

I need a little room… All alone

I need a little

You need a little room for your big head

Don't you, don't you?….

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ამავდროულად, ჩვენი თხოვნით, ეძებენ უცხო ლექსიკურ ერთეულებს და გვთხოვენ მათ განმარტებას, რათა ტექსტში არაფერი დარჩეს გაურკვეველი და ბუნდოვანი. ისინი 2-ჯერ უსმენენ თავად სიმღერას და, ამავდროულად, თვალს ადევნებენ სიმღერის ტექსტს, რომელიც თან აქვთ.

შემდეგ ეტაპზე, ენის შემსწავლელთ საშუალება აქვთ, შეადარონ გაფერადებული წინადადებები ერთმანეთს და აღმოაჩინონ გამყოფი შეკითხვების ზოგადი კანონზომიერება და უნივერსალური სტრუქტურა. ისინი გამოთქვამენ ვარაუდებს:

- ✓ გამყოფ შეკითხვებში, თითოეული წინადადება შედგება ორი ნაწილისაგან;
- ✓ ორი ნაწილიდან ერთი დადებითია, მეორე - უარყოფითი;
- ✓ ორივე ნაწილი ერთსა და იმავე გრამატიკულ დროშია.
- ✓ მეორე ნაწილში გამოყენებულია დამხმარე ზმნები (Auxiliary Verbs) იმ დროის შესაბამისად, რომელ დროშიც პირველი ნაწილი გამოყენებული.

მიღებული დამაკმაყოფილებელი და სწორი აქცენტების შემდეგ, მასწავლებელი იწყებს მოსწავლეთა ვარაუდების განმტკიცებასა და გამყოფი შეკითხვების შესახებ თეორიული ცოდნის გადაცემას ინგლისურ ენაზე. გრამატიკული წესის ახსნისას პედაგოგი განხილულ მასალას ეყრდნობა. ტექსტიდან ამოღებული რამდენიმე წინადადების მეშვეობით განმარტავს გრამატიკული საკითხის არსსა და მისი წარმოების წესებს. ახლა მათთვის ეს ინფორმაცია მეტად გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელია:

გამყოფი კითხვები (მათ ასევე მოიხსენიებენ კუდიანი შეკითხვების სახელითაც), მართლაც, შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი შეიცავს მტკიცებას,

ხოლო მეორე - კითხვას (ზამბახიძე, 2015). ამ ტიპის წინადადებებში მტკიცებითი ან ძახილის წინადადება გარდაიქმნება კითხვით ფრაგმენტად. აღსანიშნავია, რომ გამყოფი ნაწილი იმეორებს დამხმარე ზმნას (auxiliry verb). გამყოფი შეკითხვების ძირითადი სტრუქტურა ასეთია (მასწავლებელი თვალსაჩინოებისათვის ცხრილის სახით ხაზავს დაფაზე) (ცხრილები 4.2.1, 4.2.2.):

დადებითი წინადადება (Positive statement)	უარყოფითი გამყოფი (Negative Tag)
"Snow is white, "Mary was here,	Isn't it?" wasn't she?"

ცხრილი 4.2.1.

უარყოფითი წინადადება (Negative Statement)	დადებითი გამყოფი (Positive Tag)
"You don't like me "You didn't see him	do you? did you?

ცხრილი 4.2.2.

დროის სიმცირიდან გამომდინარე, ჩვენ არ შევჩერდებით გამონაკლისებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ გამყოფ შეკითხვებში. ამას გარდა, ჩვენი სურვილია, სიმღერებითა და რიტმული ტექსტების დახმარებით ინდუქციურად ჩატარებული გაკვეთილის პირველი მცდელობა არ იყოს დამაბნეველი, რთული და გაუგებარი მოსწავლეთათვის. მე-9 კლასის ინგლისური ენის მასწავლებელი (რომელიც აქტიურად გვაკვირდება) გვპირდება, რომ ამ ნაწილს თავად აიღებს საკუთარ თავზე მომდევნო გაკვეთილების განმავლობაში.

თეორიული ნაწილის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეებს ვთხოვთ, ინდივიდუალურად მოიფიქრონ გამყოფი შეკითხვების სხვა მაგალითები, რასაც ისინითავს შესანიშნავად ართმევენ. ამ ეტაპზე ჩვენ ვასრულებთ მასწავლებლის, როგორც დამკვირვებლის, მოკარნახის, ინფორმაციის წყაროს როლს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავად აღმოაჩენენ წესებს, დაადგენენ ზოგად კანონზომიერებებს გამყოფი შეკითხვების წარმოებისას, გაამყარებენ თავიანთ ვარაუდებს სწორი თეორიული ცოდნით და აქცევენ მას ფუნქციურ ცოდნად, ჩვენ მათ ვურიგებთ **პოსტტესტს** (პრეტესტი არ დაგვჭირვებია, რადგან ვხსნიდით ახალ მასალას, რის შესახებაც მოსწავლეებს ინფორმაცია არ ჰქონდათ). მათ ვთავაზობთ გამყოფი შეკითხვების 10 დაუსრულებელ მაგალითს. ათივე მათგანი ენის შემსწავლელთ გამყოფი ნაწილით უნდა შეავსონ.

After reading the lyrics of the song, please write the correct tag for each sentence.

- *Peter loves his cat, _____?*
- *Your children don't go out alone, _____?*
- *Dad's taken my bag, _____?*
- *I'm not invited to the wedding, _____?*
- *We looked everywhere, _____?*
- *She doesn't live far from here,_____?*
- *Your parents never listen to pop music, _____?*
- *We're having bacon for dinner tonight, _____?*
- *She's got beautiful eyes, _____?*
- *You're coming to the party, _____?*

მოსწავლეებს ვთხოვთ, ტესტებზე იმუშაონ წყვილებში, რაც დაეხმარება მათ, გაცვალონ და შეავსონ თეორიული ცოდნა და სწორად გამოიყენენონ იგი. ტესტში რამდენჯერმე მეორდება მსგავსი კონსტრუქციები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ცოდნის უკეთ შეთვისებასა და დამახსოვრებას, მათ ავტომატიზაციას.

ტესტის შესრულების შემდეგ, ერთობლივად განვიხილავთ თითოეულ მაგალითს, სწორს პასუხებს და ამომწურავად ვპასუხობთ მოსწავლეთა მხრიდან წამოჭრილ ყველა შეკითხვას. პირველი **პოსტტესტის შედეგად**, ვიღებთ შემდეგ სურათს (დიაგრამა 4.2.1.) :



დიაგრამა 4.2.1.

მოსწავლეთა დაახლოებით 10 %-მა მიიღო 5 ქულა ანუ ტესტის ნახევარი შეავსო სწორად; 18 %-მა დააგროვა 7 ქულა ანუ ჰქონდა 7 სწორი პასუხი; 18 %-მა დაიმსახურა 8 ქულა; 45 %-მა - 9 ქულა და 9 %-მა 10 ქულა.

პოსტტესტის პროგრესიით იკვეთება **გაკვეთილის მიზანი** - გრამატიკის სწავლება სიმღერებითა და მათი ტექსტებით და **კვლევის მიზანი** - სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების ეფექტიანობის დადგენა საბაზო საფეხურზე. მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, სახალისოდ და საინტერესოდ

მიეწოდებათ ინფორმაცია და სასიამოვნო, ჰარმონიულ გარემოში უწევთ მუშაობა. გაკვეთილი არის აქტიური, მიმდინარეობს სწავლა/სწავლების ორმხრივი პროცესი მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის.

ჩვენ განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც მოსწავლეთათვის აღმოჩნდა საინტერესო და არამოსაწყენი. მათთვის ასევე სახალისო აღმოჩნდა დანარჩენი სამი საგაკვეთილო პროცესი, რომელიც ჩატარდა რამდენიმე სასწავლო დღის გამოტოვებით.

4.3. ემპირიული კვლევის მონაწილე მოსწავლეთა გამოკითხვა

ინგლისური ენის ათვისება ქართულენოვანთათვის გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მოზარდობის ასაკში არიან. ინგლისური ენის გრამატიკის დაუფლებისას გამოკვეთილი სირთულეების გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ინგლისური სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით გრამატიკული საკითხების სწავლების კვლევა საბაზო საფეხურზე.

უცხო ენის თანამედროვე სწავლების დიდაქტიკა სწავლების პროცესში ენის შემსწავლელის ინტერესებს ითვალისწინებს. ასეთი სწავლება მოსწავლეზეა ორიენტირებული და მის მოთხოვნებსა და შეხედულებებს უწევს ანგარიშს (მ. აჭაიძე; 2018). იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ რა სირთულეებს აწყდებიან ან რა უადვილდებათ ამ საფეხურის მოსწავლეებს და რა აზრი გააჩნიათ ჩვენ მიერ ჩატარებულ ემპირიულ კვლევასა და მის შედეგებზე, გადავწყვიტეთ, გამოგვეკითხა მე-9 კლასის მოსწავლეები.

უპირველეს ყოვლისა, შევადგინეთ კითხვარი და მოსწავლეებს მისი შევსება ვთხოვეთ ინდივიდუალურად. გამოკითხვაში, რომელიც ანონიმურობის პრინციპის დაცვით 4 საკვლევი გაკვეთილის შემდეგ ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 24-მა მოსწავლემ. კითხვარი შედგებოდა 5 შეკითხვისაგან.

I კითხვაზე : „რა სირთულეებს აწყდებით ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების შესწავლისას?“ - მოსწავლეები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან. მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ ისინი ადვილად აღიქვამენ და სწავლობენ ახალ გრამატიკულ წესებს, მაგრამ **უჭირთ მათი სწორად და ადეკვატურად გამოყენება.** მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ უჭირთ **გრამატიკული საკითხების თარგმნა მშობლიურ ენაზე** და მათთვის ქართული ეკვივალენტების მოძებნა. შესაბამისად, მათ გააზრებასთან დაკავშირებით ხშირად ექმნებათ პრობლემები. მესამე ნაწილისათვის, უმეტეს შემთხვევაში, არაფერი რჩება დაუძლეველი და გაუგებარი.

II კითხვაზე: რა გიადვილდებათ გრამატიკული საკითხების შესწავლისას? - მოსწავლეთა უმეტესობა პასუხობს, რომ მათ უადვილდებათ **გრამატიკული კონსტრუქციების დამახსოვრება**. ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ თუ კლასში მრავალჯერ და სიტუაციურად იყენებენ ამ კონსტრუქციებს, შემდეგ მათი დამოუკიდებლად გამოყენება მათთვის არანაირ სირთულეს წარმოადგენს და მეტიც, სახალისოც კია. მათ უხარიათ ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა.

III კითხვაზე : „რამდენად საინტერესო და შედეგიანია თქვენთვის გრამატიკული საკითხების სწავლება იმ მეთოდებით, რომლითაც გასწავლიან? - მოსწავლეთა ერთი ნაწილის აზრით, მათთვის სწავლების მეთოდები არასაინტერესოა და მხოლოდ იმიტომ სწავლობენ, რომ ეს „საჭიროა“. ასეთი გზით მიღებული ცოდნა კი ნაკლებად შედეგიანია. მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ მოსწონთ თავიანთი მასწავლებლების მიერ არჩეული სწავლების გზები და მეთოდები. ისინი იმ აზრსაც აფიქსირებენ, რომ კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობისა და გაკვეთილის დროის სიმცირის გამო, მასწავლებლები შეზღუდულნი არიან, თუმცა იმ შესაძლებლობებს, რაც მათ ხელთაა, მაქსიმალურად იყენებენ.

IV კითხვაზე: „რამდენად დასამახსოვრებელი, ეფექტიანი და სახალისო აღმოჩნდა სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით გრამატიკის სწავლების პროცესი და მისი შედეგები თქვენთვის?“ - მოსწავლეთა აბსოლუტური ნაწილი დადებითად აფასებს სწავლების ამ მოდელს და აღნიშნავს, რომ მუსიკის საშუალებით საკითხების ახსნა და დამუშავება ძალიან დაეხმარა მათ, სხვა კუთხით შეეხედათ გრამატიკისათვის, რასაც

აქამდე ერიდებოდნენ. ახლა ისინი მეტი ინტერესით აკვირდებიან საკითხს, როგორც თეორიას და ხალისით უდგებიან მას, როგორც პრაქტიკის საგანს. მათი თქმით, უამრავია ისეთი ლექსიკური ერთეული თუ გრამატიკული კონსტრუქცია, რომელიც აქამდეც იცოდნენ სიმღერებიდან, თუმცა უცხო ენის გაკვეთილზე მათ გამოყენებასა და ეფექტიანობაზე არ უფიქრიათ. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ არასდროს დაავიწყდებათ ის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც სიმღერებსა და რიტმულ ტექსტებში შეხვდათ.

V კითხვაზე: „რას ისურვებდით სამომავლოდ გრამატიკის საკითხების სწავლა-სწავლების პროცესთან მიმართევით? რა რჩევებს მისცემდით თქვენს (და არა მხოლოდ) მასწავლებლებს? - მოსწავლეები მასწავლებლებს ურჩევენ, იყვნენ უფრო თავისუფალნი და თამამნი მოსწავლეებთან, გამოიყენონ მრავალფეროვანი მასალები, რათა სწავლების პროცესი გახდეს მეტად საინტერესო, სახალისო და ეფექტიანი უკეთესი შედეგის მისაღებად. მათი თქმით, უმჯობესია, მასწავლებელმა დაანახოს მოსწავლეს, თუ რა გამოყენება შეიძლება ჰპოვოს მის მიერ შეძენილმა ცოდნამ სამომავლოდ. ისინი თვლიან, რომ მუსიკით სწავლება მათთვის უცხო გამოცდილებაა და ამან გაამართლა, რადგან მარტივად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ყველა ის ტექსტი თუ მაგალითი, რომელიც მათ გაკვეთილთან სინთეზში მოაქციეს.

მოსწავლეთა გამოკითხვა გვიდასტურებს ჩვენ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლების ეფექტურობაზე.

დასკვნები

- ნაშრომში გამოვლინდა სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების მნიშვნელობა სკოლის საბაზო საფეხურზე. თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის გრამატიკის შესწავლა სერიოზული გამოწვევაა. ამ პროცესის ეფექტიანი და წარმატებული დაგეგმვა მასწავლებლისაგან სათანადო კომპეტენციასა და შემოქმედებითობას მოითხოვს. ამ პროცესში გასათვალისწინებელია სამიზნე ჯგუფის თავისებურებანი (ასაკი, ენობრივი დონე, ინტერესები და ა.შ.) და თანამედროვე გამოწვევები. უცხო ენის სწავლების ნებისმიერი გზის, მეთოდის, მოდელის გამოყენება და განხორციელება მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც იგი აუდიტორიის მოთხოვნებს უპასუხებს. დავრწმუნდით, რომ სიმღერების ტექსტებითა და რიტმული ტექსტებით (chants) სწავლება არა მხოლოდ დაწყებით სკოლაში, არამედ საბაზო საფეხურზეც საინტერესო გამოწვევაა ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის. თვალნათლივ დავინახეთ, რომ მოცემული მოდელით სწავლება დადებით შედეგს იძლევა, რაც სრულ უფლებას გვაძლევს, ვიფიქროთ და ვამტკიცოთ, რომ კვლევის მიზანი მიღწეულია.

ბუნებრივია, არსებობს უამრავი ხელისშემშლელი და/ან პირიქით, ხელშემწყობი ფაქტორი სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით გრამატიკის სწავლების პროცესისათვის და ჩვენ ყველა ამ ფაქტორს, რა თქმა უნდა, ვერ გავითვალისწინებთ ერთი კვლევის ფარგლებში, თუმცა, ჩვენ, ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, აქტიურად ვაგრძელებთ და კვლავაც გავაგრძელებთ მომავალში ამ მიმართულებით მუშაობას, რათა უკეთ დავრწმუნდეთ დასკვნების სისწორეში.

- ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში მუსიკით უცხო ენის სწავლება საბაზო საფეხურზე არის ჯერ კიდევ უცხო, თუმცა, მას შეუძლია, უპასუხოს ყველა თანამედროვე გამოწვევას. ჩვენი, როგორც მასწავლებლების, მიზანი არის არა მხოლოდ საკითხის სწავლება,

არამედ ჩვენი მოსწავლეებისა ჰარმონიულად აღზრდა. ენის შემსწავლელები უცხო ენასთან ერთად იძენენ გაკვეულ მუსიკალურ კომპეტენციას, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე, გლობალიზებულ სამყაროში ინდივიდების თანაცხოვრებისათვის, მათი კომუნიკაციისათვის. *,,მუსიკა ერთადერთი ენაა მსოფლიოში, რომელიც თარგმნას არ საჭიროებს.''*- ამტკიცებდა აუერბახი. მუსიკით ენის სწავლება, ერთი მხრივ, ამდიდრებს ენობრივ ცოდნას, მეორე მხრივ კი, ეხმარება მასწავლებელს, აღზარდოს საკუთარი მოსწავლეები ესთეტიკურად. გარდა ამისა, ენა, როგორც ერის კულტურის ერთ-ერთი წამყვანი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, სასურველია, შესწავლილ იქნეს ფართო სპექტრით, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ცოდნასთან ერთად იძენს ახალ კომპეტენციას, განსხვავებულ ხედვას შესასწავლი საკითხთან (და არა მხოლოდ) მიმართებით, იფართოებს თვალსაწიერს.

- კვლევებით დადგინდა, რომ მსგავსი მიდგომა მოსწავლეებში იწვევს დადებით ემოციებსა და რეაქციებს, რაც წარმატებული ორმხრივი სასწავლო პროცესის წინაპირობაა. ამ დროს სრულიად იცვლება პიროვნული დამოკიდებულება და ემოციური მდგომარეობა მოსწავლეში შესასწავლი საკითხის, გაკვეთილის, სხვა მოსწავლეების, სასწავლო სივრცის, მასწავლებლის და, საერთოდ, სკოლის მიმართ. ეს ყოველივე კი წარმატებული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაპირობასა და გარანტიას წარმოადგენს.
- საგულისხმოა ინგლისური ენის მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები. ორივე გამოკითხვამ დაგვარწმუნა ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობაში, კერძოდ იმაში, რომ ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების შესწავლისას ეფექტური და შედეგიანია სიმღერებისა და რიტმული ტექსტების (Chants) გამოყენება, რომ მათი გამოყენება გრამატიკული მასალის მიწოდებასა და დამუშავებას ბევრად უფრო საინტერესოსა და ადვილად აღსაქმელს, დასამახსოვრებელს ხდის და იძლევა აზროვნების საშუალებას. ამ პროცესში ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ინტერესებს, ენის თეორიული ცოდნა ენობრივ ქმედებად გარდაიქმნება და ეს არის ჩვენი, მასწავლებლების, მუდმივი მიზანიც - თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნა.

- გარდა იმისა, რომ კვლევებით დავრწმუნდით ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობაში, მასწავლებელთა გამოკითხვისათვის მომზადების პროცესმა კიდევ ერთი დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა: ინგლისური ენის 5000-მდე პედაგოგიდან მხოლოდ 8 ისეთი პედაგოგის აღმოჩენა, ვინც იყენებს მუსიკას საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლების მიზნით, გვაფიქრებინებს, რომ ეს მრავალფეროვანი და სახალისო მასალა სწავლების პროცესისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალი და ასათვისებელი რესურსია, რომელსაც უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია.
- მნიშვნელოვან გარემოებად მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული ემპირიული კვლევის შედეგები საკმაოდ ახლოს დგას თეორიული კვლევის დასკვნებთან და ჰიპოთეზასთან. ემპირიული კვლევის ფარგლებში ჩატარებული ოთხი გაკვეთილი გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ დავასკვნათ: შედეგზე ორიენტირებული, მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისი, მათი ასაკისა და ენობრივი დონის შესაბამისი, მიზანმიმართული და კომპეტენტური მასწავლებლის მიერ შემუშავებულ სწავლების პროცესს ნამდვილად შეუძლია, მიიყვანოს მოსწავლე სასურველ შედეგებამდე, პროდუქტიულად აათვისებინოს გრამატიკული ფენომენი, დააძლევინოს ყველა ის ბარიერი, რაც მას აქამდე აფერხებდა და აფერხებს სწავლა/სწავლების პროცესში და უპრობლემოდ შეძლოს თეორიული ცოდნის ენობრივ ქმედებად განხორციელება.
- კვლევის პროცესში მნიშვნელოვნად გამოიხატა თავად პედაგოგის როლი უცხო ენის გაკვეთილზე. მუსიკით ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების სწავლება, განსაკუთრებით, საბაზო საფეხურზე, საკმაოდ დიდი და რთული გამოწვევაა და მოითხოვს მაღალ კომპეტენციას ყველა მიმართულებით. თუ მასწავლებელი გადაწყვეტს, შეეჭიდოს ამ სირთულეს, იგი ვალდებულია, დაუთმოს შესაბამისი დრო მასალის მოძიებასა და დამუშავების პროცესს, იზრუნოს მის ხარისხზე და წინასწარ განსაზღვროს ყველა ის გაუთვალისწინებელი დაბრკოლება (Unforseen problems), რაც მას გაკვეთილის მსვლელობისას შეიძლება შეხვდეს.

- მუსიკით სწავლება ასეთივე წარმატებით შეიძლება, გამოვიყენოთ არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ ლექსიკური თემატიკის ასათვისებლად. ეს რესურსი, თავისი დადებითი ბუნებიდან გამომდინარე, აიოლებს უცხო ენის შესწავლას.
- თეორიული მასალის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ დადებითსა და უარყოფით განწყობას უცხო ენის შესწავლის პროცესის მიმართ უზარმაზარი გავლენის მოხდენა შეუძლია. სწორედ ამიტომ სასურველია გამოვიყენოთ ისეთი მოტივატორები, რომლებიც წინარე ცოდნის გააქტიურებას, ახალი ცოდნის შეძენასა და, ზოგადად, სწავლის მოტივაციის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. მუსიკით ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების სწავლება საბაზო საფეხურზე კი სწორედ ამ უარყოფითი ემოციების, სტერეოტიპებისა და უიმედობის განცდის აღმოფხვრას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მნიშვნელოვან მიზანთა შორისაა უცხო კულტურის, მენტალიტეტის შესახებ ცოდნის მიწოდება და მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარება, მათი პიროვნული ზრდა.

ჩვენ ვემხრობით აზრს, რომ მოსწავლეს თავს ვერ მოვახვევთ ვერც უცხო ენასა და ვერც სხვა სასკოლო საგნებს. ჩვენი უპირველესი გამოწვევაა, აღვძრათ მასში სათანადო მოტივაცია. მუსიკით უცხო ენის სწავლების მთელი უპირატესობაც სწორედ ის არის, რომ კლასშივე ღვივდება ინტერესი და აქედანვე იწყება მთელი რიგი სასწავლო პროცესებისა. სწავლა/სწავლების პროცესი ერთგვარ შემოქმედებით პროცესად იქცევა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მუსიკით სწავლების პროცესი რეალურ გამოხატულებასა და შედეგს ჰპოვებს საქართველოშიც.

რეკომენდაციები

- სასურველია, ინგლისური ენის პედაგოგებმა მუდმივად ადევნონ თვალი სწავლების საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას, ჰქონდეთ აქტიური ურთიერთობა კოლეგებთან, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, დაესწრონ ერთმანეთის გაკვეთილებს. ეს ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გადააზრებას, ცოდნის გაღრმავებას, ახალი მეთოდებისა და მიდგომების ათვისებასა და შესწავლას. მიღებულ კომპეტენციას კი უცხო ენის პედაგოგები თავიანთი მოსწავლეებისათვის სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენებენ, რაც სახალისო და ეფექტიან სწავლებას შეუწყობს ხელს.
- რადგან მუსიკის გამოყენება კლასში შესვლის წინ უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს, მასწავლებელს, რომელსაც ძალიან ცოტა დრო რჩება პირადი ცხოვრებისათვის, სახელმწიფო უნდა უქმნიდეს იმის პირობებს, რომ იგი იყოს მეტად მოტივირებული და დაინტერესებული მოსწავლეების მიღწევებით. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელს ჰქონდეს გაწეული შრომის შესაბამისი ანაზღაურება.
- იმ მასწავლებლებს, რომლებიც სიმღერებითა და რიტმული ტექსტებით (Chants) ამრავალფეროვნებენ თავიანთ გაკვეთილებს, ვურჩევთ, რომ ზედმეტი სიფრთხილითა და ყურადღებით შეარჩიონ სასწავლო რესურსი, გაითვალისწინონ მასალის შერჩევისა და დამუშავების ყველა ის კრიტერიუმი, რომელიც გამოკითხვისას დავუსახელეთ (გრამატიკული საკითხი ანუ თემატურობა, მასალის ხელმისაწვდომობა, ტექსტის მოსწავლეთა ასაკთან შესაბამისობა, მოსწავლეთა ენობრივ დონესთან შესაბამისობა, ჟანრი და ა.შ.); სხვადასხვა მეთოდით გამოიყენონ მუსიკა, როგორც ეფექტური სასწავლო მასალა და ეფექტიანად მოარგონ იგი სასწავლო მიზნებს.

მათ ვურჩევთ, ნუ დააბრკოლებთ მსგავსი გამოწვევების სირთულე, რადგან ჩვენი, მასწავლებლების, უმთავრესი და უზენაესი მიზანია, დავინახოთ ჩვენი საქმიანობის შედეგი - მივიყვანოთ მოსწავლეები იმ ჭეშმარიტებამდე, რომელსაც ცოდნა ჰქვია!

ლიტერატურა

1. აჭაიძე მ. ირეალისი გერმანულ ენაში და მისი სწავლების სტრატეგია უმაღლეს სკოლაში. თბილისი. 2018;
2. ზამბახიძე ე. ინგლისური ენის გრამატიკა (English Grammar). თბილისი. გამომცემლობა ,,ეგრისი''. 2015. 411;
3. ნაჩმიასი დ., კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009. 585;
4. ნახუცრიშვილი ე. გვარის სწავლების პრობლემატიკა სკოლებში. თელავი. 2015;
5. უზნაძე, დ. ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე'', 2006;
6. შავერდაშვილი ე. უცხოური ენების სწავლების მეთოდები. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014;
7. ჭკუასელი, ქ., ჭკუასელი ივ. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა ,,ინტელექტი". 2012
8. British Council, LaveryC. Using songs, 2012;
9. DendrinosB. ELT Methods and Practices, 2016;
10. Harmer J. The Practice of English Language Teaching, fourth edition, Pearson Longman publishing; 2007;
11. Hird, J, Inductive and deductive grammar teaching, Oxford University Press ELT, 2015
12. L. M. Lynch, 9 Reasons Why You Should Use Songs to Teach EFL, 2017
13. Pasanen H. USING MUSIC IN EFL TEACHING AT LOWER SECONDARY EDUCATION: TEACHERS' EXPERIENCES AND OPINIONS, UNIVERSITY OF JYVÄSKYLÄ, 2010;
14. Penny U. A Course in Language Teaching (Practice and Theory). Cambridge University Press. 2009. 375
15. Scrivener J. Learning Teaching. Macmillan Books for Teachers. MACMILLAN publishing, 2006.
16. Thornbury, S. How to Teach Grammar,1999.

17. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა. საბაზო საფეხურის ინგლისური ენის სტანდარტი. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. 2018-2024http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis
18. Graham C.Teaching English with the jazz chants,2012 https://www.youtube.com/watch?v=sotUp32mpOI

Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Teacher Education

Anano Kalichava

The effectiveness of using English songs and chants while teaching English grammar atbasic school

A thesis submitted to earn the academic degree of

Master of Arts in Teacher Education

Supervisors: **Isabella Petriashvili**, PhD, Associate Professor, TSU

Gulnara Chkhikvadze, English Language Expert,

Adjunct Lecturer, TSU

Tbilisi

2019